# ლელო

№174 (12 244)

26 ივლისი ხუთშაბათი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

## არის, ოქრო-ვერცხლიც და წვიმაც

### ზებედა რეხვიაშვილი ჩემპიონია



ძიუდოისტთა ტურნირის გამარჯვებული ზებედა რეხვიაშვილი (შუაში)

რაში ჯვაროსნებმა პოლონური ბარიერი გადალახეს 7:5, 6:1. რაც ასევე ნახევარფინალსა და მინიმუმ ბრინჯაოს მედალს იძლევა. დღეს ქართულ-ფრანგული დუელია. ერთეულებში გორგოძე **ჩოე ბაბეტის** დამარცხებას შეეცდება, წყვილებშიც ფრანგებს უნდა ვძლიოთ.

მძლეოსნობაში **ენდრიკ ზილბერშტეინმა** (400 მ) ნახევარფინალური ბარიერი ვერ დაძლია. ეს ვერც მისმა ძმამ **ლუდვიგმა** მოახერხა (800 მ). **გაიანე უსტიანმაც** (800 მ) წარუმატებლად იასპარეზა. ერთადერთი **გიორგი ბედოშვილმა** შეძლო ბადროს 53.89 მეტრზე სროლა და ფინალში მესამე პოზიციით შესვლა. დღეს მას ბადროს ფინალთან ერთად ბირთვის კვრის საკვალიფიკაციო ეტაპი ელის. ვერაფრით გამოიჩინეს თავი ძიუდოისტმა გოგონებმა. **მარიამ ტარუაშვილი** თურქთან დამარცხდა, **დიანა ნანიევმა** სერბთან წაგების მერე დამამშვიდებელში გერმანელი დაამარცხა, მაგრამ მეტს ვერაფერს გახდა და ებრაელთან წააგო.

ტრადიციულად ტკბილი ლუკმა კვლავ ბოლოსთვის შემოვინახეთ. აკი გვეუბნებოდა მწვრთნელი **გურამ მოდებაძე** დღეს აუცილებლად უნდა გავიხაროთო. ქება და ქება **ზებედა რეხვიაშვილსა** და **ზვიად კაპანაძეს**. მათ ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს, ყველა ორთაბრძოლაში გული და სული ჩააქსოვეს და დამსახურებულ წარმატებასაც მიაღწიეს. ერთია, რომ ფინალში ოდნავ არ გაუმართლა ზვიად კაპანაძეს. მან ერთი ამოსუნთქვით დადო ბეჭებზე ჩერნოგორიელი, ლატვიელი, რუმინელი და უკრაინელი მოწინააღმდეგეები, გადამწყვეტ შეხვედრაში კი იმ აზერბაიჯანელ **სარხამ ახმადოვთან** დამარცხდა, რომელმაც ახლახან მალტაზე გამართულ კონტინენტის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის სწორედ ჩვენებურის დამარცხებით იჩემპიონა. *"ზედიზედ მეორედ არ მიმართლებს. მაშინაც და ეხლაც ერთი გაფრთხილებით წავაგე. არ ვიცი ეს უიღბლობა რას დავაბრალო, მაგრამ მჯერა, რომ ჩემი დროც მალე მოვა. რევანში აუცილებლად შედგება".* - მითხრა თვალცრემლიანმა ზვიად კაპანაძემ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ზვიადის დრო უკვე დამდგარია. ბელგრადში მოპოვებული ვერცხლის მედალი პატარა საქმე ნამდვილად არ არის.

წლევანდელი ევროპის ჩემიონის ზებედა რეხვიაშვილის საპატივცემულოდ საქართველოს ჰიმნი "ნიუ ბელგრადის" დარბაშიც აჟღერდა. მომავალმა ჩემპიონმა ბულგარელ, თურქ, სლოვაკ და ებრაელ კიმონოსანთა ბარიერის გადალახვის შემდეგ ფინალში ლატვიელ **არტურ კურბანოვს** დაძაბულ ბრძოლაში გამოჰგლიჯა ოქროს მედალი. ამჯერად ერთი გაფრთხილების წყალობით დამატებით დროში გამარჯვება ზებედას დარჩა.

*"უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ხალხის იმედები გავამართლე. სიტყვები არ მყოფნის სიხარულის გამოსახატავად".* - მითხრა დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ზებედა რეხვიაშვილმა.

ამრიგად ქართულ მონაგარში ჯერჯერობით სამივე ხარიხის თითო-თითო მედალია. წინ კიდევ ასპარეზობის სამი დღეა.

ავტორის ფოტო



კახა ბერიძე

ბელგრადიდან

### რეპორტაჟებს წარმოგიდგენთ საქართველოს ოლიმპიური ფონდი

გვეშველა. გუშინ ბელგრადის ცამ პირი გახსნა და გავარვარებული ქალაქისთვის წვიმის წვეთები გაიმეტა. უნდა გენახათ ამან ოლიმპიურ სოფელში რა ოვაციები გამოიწვია. სპორტსმენებს საკუთარი გამარჯვებები ისე არ უხაროდათ, როგორც ეს ნანატრი ჯადოსნური წვიმის წვეთები. და, რაც მთავარია...

25 ივლისი ოლიმპიურ სოფელში დიდი სტუმრიანობა იყო. ათლეტები ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **პატრიკ ჰიკმა** და სერბმა კალათბურთელმა, NBA-ს ვარსკვლავმა **ვლადე დივაცმა** მოინახულეს. ამ უკანასკნელს სერბები აღმერთებენ და ამიტომაც იყო, სოფელში მის გადადგმულ ყოველ ნაბიჯს თან ათეულობით მასპინძლის მხურვალე აპლოდისმენტები რომ ახლდა. ჰიკი და დივაცი სპორტსმენებს გულთბილად ესაუბრნენ, მადლობა გადაუხადეს იმ ბრძოლისუნარიანობისა და "სამართლიანი თამაშების" პრინციპების დაცვისთვის, რომელსაც "ბელგრადი 2007-ის" თამაშებზე იჩენენ და მომავალში წარმატებები უსურვეს.

არ ვიცი, მათ ოლიმპიურ სოფელში საყოფაცხოვრებო პირობები მოეწონათ თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ არაერთი სოლიდური დელეგაციის წარმომადგენელი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს დაუპირისპირდნენ. მისიის ხელმძღვანელთა თათბირზე გერმანიის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების მასპინძლები დელეგაციათა შეფებმა მკაცრად გააკრიტიკეს. "თუ არ შეგეძლოთ ვინ გაძალებდათ?", "ის რაც აქ ხდება ყველა ჩვენგანის დაცინვაა", "ელემენტარული კვება რალა გახდა? ისედაც რა მცირე მენიუა და იმასაც გვითვლით ნახევარი ულუფით მეტი არ ავილოთ", - აღშფოთებას ვერ ფარავდნენ შუაგული ევროპის წარმომადგენლები. მთავარ პრესცენტრში უკვე გაჩნდა ცნობარები 2009 წლის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელი ქალაქის - ტამპერეს (ფინეთი) შესახებ. იმედია, იქ მაინც იქნება უკეთესი პირობები.

**მაკა ჩახნაშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, ირაკლი უშანგიშვილი, ლადო ჩიხლაძე** - ეს ის ქართველი ჩოგბურთელები არიან, რომლებმაც სხვადასხვა დროს ფესტივალზე მედლის აღების შანსი ხელიდან გაუშვეს. **გიორგი ხმიადაშვილი** და **ეკა გორგოძე** კი უვე ქართული სპორტისა და ჩოგბურთის ისტორიაში შევიდნენ. გუშინ ეკა გორგოძემ იტალიელ **ვალენტინ კოლპალონიერს** დაძაბულ ბრძოლაში 7:5, 7:5 მოუგო და ნახევარფინალში გავიდა, რაც სულ მცირე ბრინჯაოს მედლის გარანტიაა. თუმცა ეკას ამის გაგონებაც არ სურს. *"მე აქ მხოლოდ გამარჯვებისთვის ჩამოვედი. ყველა სხვა შედეგი ჩემთვის მიუღებელია. მინდა ისტორიაში ჩემპიონის სახელით შევიდე".* - ამბობს ეკა გორგოძე. ღმერთმა უსმინოს. შერეულ წყვილთა შეხვედრაში ჯვაროსნებმა პოლონური ბარიერი გადალახეს 7:5, 6:1...





## შალკე მალხაზ ასათიანში 7 მილიონს იხდის

**გაზეთი "ტვოი დენი" სენსაციურ სტატიას აქვეყნებს მოსკოვის "ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელის, მალხაზ ასათიანის შესახებ. გამომდინარე სტატიის მნიშვნელობიდან, მას უცვლელად გთავაზობთ.**

### 2.4 მილიონი ევრო ასათიანისთვის

"ლოკომოტივის" ქართველმა ლეგიონერმა კლუბთან სუპერკონტრაქტი გააფორმა. "ტვოი დენმა" შეიტყო, რომ მალხაზ ასათიანმა რკინიგზელებთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდა.

ჩვენი ინფორმაციით, ამიერიდან 25 წლის ქართველი უნივერსალი ყოველწლიურად 2.4 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. მასზე მეტს მხოლოდ ახალწვეული, პიტერ ოდემვინგი იღებს - 2.5 მილიონ ევროს წელიწადში.

ინფორმაციის წყარო გაზეთს აცნობებს: "წინა ხელშეკრულება მალხაზს "ლოკომოტივთან" ამ წლის ბოლოს უმთავრდებოდა. ის წელიწადში 1.5 მილიონ ევროს იღებდა. "ლოკომოტივის" ბოსებმა წინასწარ იზრუნეს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. კლუბის დირექტორატის თავმჯდომარე სერგეი ლიპატოვი ასათიანს გუნდის ერთ-ერთ სკვანძო ფეხბურთელად მიიჩნევს. ამიტომაც საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის - რომელზეც ევროპის წამყვანმა კლბებმა ნადირობა დაიწყეს - ხელფასზე თანხა არ დაინანა.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



19-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩები

# გადაწყვეტილია, სექტემბერში რუმინეთში

17-24 ოქტომბერს საქართველო 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდს უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ჯგუფის მეტოქეებად ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ლატვიის ნაკრებები გვყავს. მომდევნო, ელიტრაუნდში კი ჯგუფის პირველ და მეორეადგილოსანი გადის.

შესარჩევი ციკლის დაწყებამდე **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, უკვე დასრულდა მოლაპარაკებები ჩვენი და რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციებს შორის და შეთანხმებაც მიღწეულია, რომლის მიხედვითაც ჩვენი 19-წლამდელები 24 და 26 სექტემბერს რუმინელ თანატოლებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. გარკვეულია ისიც, რომ ჩვენი დელეგაცია ბუქარესტთან ახლოს მდებარე ქალაქ მოგოშაიაში, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში დაბინავდება და იქვე გამართავს ამხანაგურ თამაშებს. თუ საქართველოსა და რუმინეთის 19-წლამდელთა ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით იასპარეზებენ და ელიტრაუნდის საგზურს მოიპოვებენ, მაშინ რუმინეთის ჭაბუკთა ნაკრები გაისად, 2008 წლის გაზაფხულზე საპასუხო ვიზიტით გვეწვევა და ქართველ თანატოლებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.



ფოტო www.gff.ge

ჰაინც ტოპმიოლერი

**დავით ცაბაძე**

ჭაბუკთა ნაკრები. ამხანაგური მატჩები

# რუსეთშიც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ

**რამდენიმე** დღის წინათ, 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა ჰერბერტ ცანკერმა, ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" 16-წლამდე ასაკის 18 ჭაბუკი შეკრიბა და რამდენიმე დღის განმავლობაში ავარჯიშა. დღეს, გამთენიისას ცანკერი და მისი გუნდი რუსეთს გაემგზავრნენ. ხვალ, 27 ივლისს და კვირას, 29 ივლისს, ჩვენი ჭაბუკები რუს თანატოლებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. როგორც ხედავთ, ჰერბერტ ცანკერმა თადარიგი დაიჭირა და ახლავე დაიწყო იმ გუნდის მზადება, რომელიც გაისად შემოდგომაზე ჩაერთვება ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლში.

გუშინ, საღამოს ვარჯიში საფეხბურთო კლუბ "ოლიმპიკის" ბაზაზე 18 საათზე დაიწყო. მასში მონაწილეობა 18 ფეხბურთელმა მიიღო.

მეკარეები: **გიორგი ნადირაძე, გიორგი გუჩაშვილი.**

მცველები: **ბაქარ მირცხულავა, ჯაბული იამანიძე, ბესიკ ამაშუკელი, გიორგი ქვარცხავა.**

ნახევარმცველები: **თემურ შარაშენიძე, ლევან ელიზბარაშვილი, მერაბ მამულაძე, ნიკა ძალამიძე, ჯანიკო ანანიძე, გოგა ქვარაია, გიორგი ჩელებაძე, ნიკა კვეკვესკირი.**

თავდამსხმელები: **ირაკლი შეყილაძე, გიორგი ვაშაკიძე, კონსტანტინე გაბაშვილი, ლევან კუხალეიშვილი.**

გუნდში მხოლოდ ერთი ლეგიონერია – **ჯანიკო ანანიძე** კიევის "დინამოს" ჭაბუკთა გუნდის ნახევარმცველია. **ჰერბერტ ცანკერმა** გამთამაშებელი ანანიძე კარგად დაგვიხასიათა, ბევრი კარგი თვისება აქვს და აზრიანადაც თამაშობსო.

წვრთნამ საათზე მეტხანს გასტანა. სანამ ცანკერი და მისი თანაშემწე **ლევან ხომერიკი** ფეხბურთელებს ავარჯიშებდნენ, მეკარეების მწვრთნელმა **ასლან ბალაძემ** გოლკიპერები დატვირთა.

ვარჯიშის შემდეგ ცანკერმა "ლელოს" კითხვებს უპასუხა, თარჯიმნობა ლევან ხომერიკმა გაგვიწია.

- ეს გუნდი გაისად იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. თუმცა თადარიგი დავიჭირეთ და ამ კრებულის მზადებას უკვე შევუდექით. ამჯერად 1992-93 წლებში დაბადებულებიდან უნდა შევქმნათ ძლიერი გუნდი და ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ. "ტალანტების მოძიების" პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ასეული ჭაბუკი შევარჩიეთ. მათგან 400 გამოვარჩიეთ, საიდანაც ნაღები 40 მოთამაშე შევიგულეთ. რუსეთში ამხანაგური მატჩებისთვის მხოლოდ 18 ფეხბურთელის წაყვანის უფლება გვაქვს და 40-იდან ეს 18 მოთამაშე ავარჩიეთ. საერთოდ კი 1992-93 წლებში დაბადებულთა მთავარი შემოწმება შემოდგომიდან დაიწყება.

**- ეს 18 ფეხბურთელი იმ 40-იდან საუკეთესოა, თუ ნარჩევია?**

- ეს ისეთი ასაკია, რომ ყოველ სამ თვეშია შესაძლებელი მოთამაშეთა დონის შეცვლა – ზოგი შესაძლოა უფრო განვითარდეს, ზოგი კი პირიქით, ერთ დონეზე გაჩერდეს ან მოუკლოს. სწორედ ამიტომ, ამ თაობაზე მუდმივი დაკვირვება გვმართებს. ამჯერად ყველა გამორჩეული კი არა, შერეული კონტინგენტი შევარჩიეთ.

**- ამ თვრამეტეულში ხოლოდ ერთი ლეგიონერია. იმ 40 მოთამაშეში სხვა ლეგიონერიც ხომ არაა?**

- არა, ჯერჯერობით ამ ორმოცეულში მხოლოდ ჯანიკო ანანიძეა ლეგიონერი, რომელიც კიევის "დინამოს" ჭაბუკთა გუნდში თამაშობს და არაერთი კარგი თვისებით გამოირჩევა.

**- რუსეთთან ამხანაგური მატჩები რა მიზანს ემსახურება?**

- პირველ რიგში, მოთამაშეები საერთაშორისო დონეზე გამოცდილებას შეიძენენ. გარდა ამისა, ამ ჭაბუკებს ძლიერ მოწინააღმდეგესთან გამოვცდით. ამჯერად ერთი წლით ადრე დავიწყეთ ახალი გუნდის შენება. ადრე, როცა 1990 წელს დაბადებულთა გუნდს ვქმნიდით, მხოლოდ 3 თვე გვქონდა ძლიერი გუნდის ჩამოსაყალიბებლად. 1991 წელს დაბადებულთა გუნდის შესაქმნელად 7-8 თვე, ხოლო ახლა, 1992-93 წლებში დაბადებულთა გუნდის ჩამოსაწალიბებლად 14 თვე გვაქვს.

**- ახალ გუნდსაც იმ ტაქტიკით ათამაშებთ, როგორც ეროვნული ნაკრები ასპარეზობს?**

- ჩვენ სამი ტაქტიკური ვარიანტი გვაქვს დამუშავებული. ძირითადი 4-2-3-1 ტაქტიკაა. თუმცა არ ვივიწყებთ 4-1-4-1-სა და კლასიკურ 4-4-2 სქემასაც. ამ ასაკში ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ჭაბუკებმა ტაქტიკური განათლება მიიღონ და სხვადასხვა პოზიციაზე თამაშს მიეჩვიონ. რუსეთთან ამხანაგურ მატჩებს ამ მიზნებისთვისაც გამოვიყენებთ.

**- ეს თაობა უკეთესია, თუ წინა თაობა, რომელიც ამ შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს?**

- ყველა ასაკსა და თაობას თავისი გამორჩეული ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენი მიზანია ამ თაობის გამორჩეული მოთამაშეებისგან ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ.

**- მეტოქეზე რა იცით?**

- ეს გუნდი სამი ძლიერი კლუბის, მოსკოვის "სპარტაკის", "სატურნისა" და ცსკა-ს ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მეტოქე ძლიერია და საინტერესო. დაძაბული მატჩები გველის, რაც გუნდის შენების პროცესში აშკარად წაგვადგება.

**- საქართველო-რუსეთს შორის, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური სიამტკბილობა ნამდვილად არაა. ეს რაიმეში ხელს ხომ არ შეგიშლით?**

- რა თქმა უნდა, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობაში რა პრობლემებიცაა, ყველაფერი კარგად ვიცი. თუმცა მე არ ვარ პოლიტიკოსი. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩებისთვის თავად რუსეთმა მიგვიწვია, რისთვისაც რუსეთის საფეხბურთო კავშირის მადლობელი ვართ. სადაც არ უნდა ვიყოთ, საქართველოს წარმოვადგენთ და ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, ასე იქნება რუსეთშიც.

**დავით ცაბაძე**

# ტოპმიოლერი დინამოს ნახავს, მინგე ამერს

ევროარენაზე დარჩენილი თბილისის "დინამო" და "ამერი" უეფას თასის გათამაშების პირველ საკვალიფიოკაციო ეტაპზე საპასუხო მატჩებს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი დაესწრება.

21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი** თბილისიდან მალე გაემგზავრება. ჯერ პოლონეთში ჩავა, სადაც 22 აგვისტოს მატჩისთვის, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებისთვის სასტუმროსა და სავარჯიშო მოედანს შეარჩევს, მერე რამდენიმე ლეგიონერის თამაშს დაესწრება. 2 აგვისტოს ის და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი**, ლიხტენშტაინში "ვადუცი"-"დინამოს" მატჩს ნახავენ.

ივლისის ბოლოს თბილისში **რალფ მინგე** ჩამოფრინდება, რომელიც 2 აგვისტოს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე "ამერი"-"ბელხატოვის" თამაშს დაესწრება.

**დავით ცაბაძე**

# განუგრავა ისევ საბერძნეთშია



გიორგი განუგრავა

**გიორგი განუგრავა**, ვისაც შარშანწინ ეროვნულ და ორ ასაკობრივ ნაკრებში ათამაშებდნენ, ისევ უგუნდოდაა.

"ზესტაფონიდან" წასული ფეხბურთელი ერთი პერიოდი ბერძნულ "პანათინაიკოსში" აპირებდა მოწყობას, გასინჯვაზეც იყო ჩასული **ტრონდ სოლიდის** გუნდში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

განუგრავა ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და თუ როგორ მოექცნენ ამ მართლაც კარგი მონაცემების მქონე შუახაზელს, ცალკე თემაა. ახლა კი უფრო აქტუალური ისაა, თუ როგორ წარიმართება მისი კარიერა.

და ახალი ამბავიც - განუგრავა ისევ საბერძნეთში წავიდა და იქაური სუპერლიგის "კალამარიაში" ისინჯება.

"კალამარია" გასულ სეზონში დიდი ხვითო არ იყო, თექვსმეტგუნდა ლიგაში მე-12 ადგილზე გავიდა.

**დავით თავართქილაძე**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# შალკე მალხაზ ასათიანში 7 მილიონს იხდის

პირველი გვერდიდან



ჩვენი ინფორმაციით, ასაითიანის მთავარი "მიმზიდველი" გერმანული "შალკე 04" რჩება.

მალხაზი ბუნდესლიგის ლიდერს ბოლო ორი წელია ძალიან აინტერესებს - აგრძელებს ინფორმატორი - ქართველის თამაშმა "შალკეს" ხელმძღვანელობა გასულ შესარჩევ ციკლში მოხიბლა, როდესაც მალხაზმა სამი ბურთი გაიტანა. გელზენკირხენულმა კლუბმა ჯერ კიდევ მაშინ სცადა ასათიანის გადაბირება და რკინიგზელებს შვიდი მილიონი ევრო შესთავაზა. თუმცა სექტემბერში მიღებული მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ, "შალკემ" ასათიანის საკითხი ზაფხულამდე გადადო.

სულ მცირე-ხნის წინათ კი გერმანელები "ლოკოს" ბოსებს ისევ დაუკავშირდნენ მალხაზის გაყიდვის წინადადებით. თუმცა პასუხად კატეგორიული უარი გაისმა, ამის შემდეგ კი ფეხბურთელმა ახალი კონტრაქტი გააფორმა."

ჩვენ ბრმად ვერ ავიტაცებთ გაზეთის ინფორმაციას. ვერ დავამტკიცებთ, ასათიანი მართლა იღებს თუ არა წელიწადში 2.4 მილიონ ევროს. თუმცა გუნდის დირექტორატის თავმჯდომარე სერგეი ლიპატოვმა რამდენიმე დღის წინათ **პიტერ ოდემვინგის** ტრანსფერზე ისაუბრა და საინტერესო დეტალები გაამხილა: "ჩვენმა მოთამაშეებმა არ იციან, მათი თანაგუნდელები რა თანხას იღებენ. ერთი კლასის ფეხბურთელები განსხვავებულ ხელფასს არ იღებენ. თუმცა ის შემიძლია გითხრათ, რომ ოდემვინგი არაა ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე, ყველაზე მეტ ხელფასს მალხაზ ასათიანი იღებს". იქვე ინტერნეტგაზეთ "სპორტ სევოდნიასთან" საუბარში ლიპატოვმა ოდემვინგის ხელფასის მიახლოებითი ციფრი დაასახელა - ის 3 მილიონ ევროს არ იღებს, ორჯერ ნაკლებს ვუხდით. გამოდის, ეს თანხა 1.5 მილიონი ევროა.

არაა გამორიცხული, მალხაზს "ლოკომოტივის" ბუღალტერიაში მართლა დაუწერეს წლიური 1.5 მილიონი ევრო. თუმცა მეორე საკითხია, რომ რუსულ კლუბებს ფულის გათეთრება ამგვარი მეთოდი (მოთამაშეების ხელფასის გაზრდა) კარგად ათვისებული აქვთ. მაგალითისთვის ერთი ქართველის ამბავს გეტყვით - მას რუსეთში 50 ათასი დოლარი გაუფორმეს, რეალურად კი 15 ათასს იღებდა. სავარაუდოდ ასათიანის შემთხვევაშიც ასეა და შესაძლოა, თავად ეს არ უთხრან. თუმცა ის, რომ რუსეთის ერთ-ერთ გამორჩეულ კლუბში ყველაზე ძვირადანაზღაურებადი მოთამაშეა, ეს ძალიან გვახარებს. სხვათა შორის, წინა ტურში მოსკოვის ცსკა-სთან მალხაზი **ანატოლი ბიშოვეცმა** არ ათამაშა და "ლოკომოტივის" წაგების (1:2) ერთ-ერთ მიზეზად ესეც დაასახელეს. შემდეგ მატჩში ყაზანის "რუბინთან" კი, მალხაზი ალბათ, ითამაშებს.

საფეხბურთო ინფრასტრუქტურა

# ბრიტანელები ქართულ სტადიონებს ათვალიერებენ

ორი დღეა, რაც საქართველოში მორიგი სამუშაო ვიზიტით იმყოფება ბრიტანული კომპანია GMMI-ის ორი წარმომადგენელი - კარგად ნაცნობი **ნილ ევისი** და **ბენ ფლეტჩერი**. მოგეხსენებათ GMMI-სა და ფედერაციას შორის გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ეს კომპანია ქართული ფეხბურთის დონის ამაღლებისთვის იღწვის. მათი ვიზიტის მიზანი ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის საკუთარი თვალით ნახვა, სტადიონების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებაა. ბრიტანელებს მასპინძლობა-მეგზურობას ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** და ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** უწევენ.

*"ამ ორი დღის განმავლობაში ქუთაისის, სამტრედიის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ბორჯომის, ფოთის, ზუგდიდის, ზესტაფონისა და გორის სტადიონები ვნახეთ. ბრიტანელებმა ამ არენების მდგომარეობა შეისწავლეს და სტადიონებს ფოტოებიც გადაუღეს. ხვალ რუსთავის, ბოლნისისა და თელავის სტადიონებს მოვინახულებთ. ზეგ, 27 ივლისს კი "ამერის", "მერანისა" და "ვიტ ჯორჯიის არენებს ვნახავთ"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

# დინამოს გონჩაროვი არ ეთმობა



შოთა გრიგალაშვილი

"ბორჯომმა" გუშინ საკონტროლო მატჩი ითამაშა პირველ ლიგაში ჩაქვეითებულ გორის "დილასთან" და მხოლოდ ნულოვან ფრეს გამორჩა.

"ბორჯომს" დაუბრუნდა თბილისის "დინამოსგან" ნათხოვარი შუახაზელი **შოთა გრიგალაშვილი**, ვინც აზერბაიჯანში აპირებდა კარიერის გაგრძელებას. გრიგალაშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრიცაა და წინა სეზონის "ბორჯომში" ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ადრეც გაუწყეთ, რომ "ბორჯომი" საამსეზონოდაც აპირებდა ფეხბურთელების იჯარით აყვანას "დინამოსგან". ბორჯომელებმა **დუშან უჰრინის** გუნდიდან უკვე დაიმატეს მეკარე **ზვიად სტურუა** და მცველი **ლევან აკობია**. დღე-დღეზე "ბორჯომს" უნდა შეუერთდეს დინამოელი ფორვარდი **ზამირ ჯანაშია**, ვინც გასულ სეზონში ვერ ხვდებოდა "დინამოს" ძირითადში.

ბორჯომელებს კიდევ ერთი თავდამსხმელი **ბორის გონჩაროვიც** სურთ, მაგრამ "დინამო" მას ჯერ არ უთმობს თორელებს.

**დავით თავართქილაძე**

# სიონი კვლავ იგებს

**სიონი–მერანი 3:2**

1:0 ქარდავა (17. პენალტით), 2:0 ქუთათელაძე (49. ქარდავას პასით), 2:1 ბ. ნოზაძე (53), 3:1 სვანიძე (69. პენალტით), 3:2 ა. ნოზაძე (85).

სიონი: ბობლიაშვილი, სვანიძე, სანიკიძე, ქუთათელაძე, ოქროპირიძე, ბოიომო, ქარდავა, ლ. ჭელიძე, ბაჯელიძე, რაქვიაშვილი, ბუცხრიკიძე.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: გ. იაშვილი, პაპუაშვილი, კვიტაიშვილი, კვიციანი, რეხვიაშვილი.

მერანი: სეფიაშვილი, კილასონია, ლომაშვილი, ჯანგიძე, მგალობლიშვილი, კ. ავალიანი, ა. ავალიანი, ტყეშელაშვილი, ბ. ნოზაძე, ა. ნოზაძე, სევასტოპულო.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ქემაშვილი, ფურთუხია, დეისაძე, სარალიძე.

არბიტრი: გ. ვადაჭკორია.

ურეკში, მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის "სიონმა" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **ნოდარ აკობიას** გუნდი, ზღვისპირეთში მოსამზადებლად მყოფ "მერანს" დაუპირისპირდა. მატჩი უხვგოლიანი გამოდგა და ბოლნისელთა გამარჯვებით დასრულდა - 3:2.

გუშინ დილით ბოლნისელებმა გუნდის ფორვარდ **ერიკ რომეო ჩასემს** გზა დაულოცეს. მოგეხსენებათ ჩასემი, კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

ჩასემის გარეშე დარჩენა "სიონისთვის" მცირე დანაკლისი ნამდვილად არაა. ამას ისიც დაემატა, რომ **ქუთათელაძეს** ფეხი აწუხებს, მაგრამ გუშინ მაინც ითამაშა და გოლიც გაიტანა. ბოლნისელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა **ბესიკ ქარდავამ**, რომელმაც გოლი და საგოლე პასი მიითვალა. საერთოდ კი ქარდავა-ქუთათელაძის ტანდემი თავდასხმაში აგრესიულობითა და შედეგიანობით გამოირჩა.

"სიონის" გენერალური მენეჯერის **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, თამაში ბოლნისელთა უპირატესობით წარიმართა და ეს მატჩის საბოლოო ანგარიშშიც აისახა. ჭიპაშვილის მტკიცებით, "სიონი" თანდათან ფორმაში შედის, თამაშის ხარისხსაც აუმჯობესებს და მწვრთნელებიც კმაყოფილები არიან.

რაც შეეხება "მერანს", თბილისელთა გუნდის თავკაც **თამაზ კოსტავას** თქმით, მისი გუნდი მორიგ ამხანაგურ შეხვედრას ხვალ, 27 ივლისს გამართავს. "მერანი" ქუთაისს ესტუმრება და "ტორპედს" მშობლიურ ბაზაზე გაეჯიბრება.

**დავით ცაბაძე**



ერიკ რომეო ჩასემი (მარჯვნივ) სამშობლოში გაემგზავრა

# გოგუა მართლა ხარივითაა

**გოგიტა გოგუა** "ჰართსში" კონტრაქტზე ხელის მოსაწერად რომ ჩაიყვანეს, სამედიცინო შემოწმება გაიარა და შოტლანდიური გუნდის ექიმმა დიაგნოზი დაუსვა - ეს ბიჭი ხარივით ჯანმრთელიაო.

ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. საქართველოს ნაკრებისა და რამენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველმა სამი კვირის წინათ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ახლა უკვე ვარჯიში დაიწყო. მართალია, ჯერ მსუბუქად ვარჯიშობს, მაგრამ ასე სწრაფად მოედანზე დაბრუნება დიდი სენსაციაა.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა

# გაბაშვილმა არ იცის, რა მოხდა ყრილობაზე

## მაჩვენეთ კონცეპტუალურად მომუშავე ხალხი და გაჩვენებთ დახმარებას



**საპარლამენტო** უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელს და უბრალოდ, ფეხბურთის გულშემატკივარ **კოტე გაბაშვილს** მეტწილად იმაზე ვესაუბრეთ, თუ როგორ უნდა დაუდგეს სახელმწიფო გვერდში ფეხბურთს. მალე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე მუშაობას დაასრულებს და პროექტის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი სახელმწიფო უნდა იყოს - გაბაშვილთან ინტერვიუ აქედან დავიწყეთ.

- იმ ქალაქებში, სადაც ტრადიციული გუნდები არიან, უნდა აშენდეს ახალი, ევროპული დონის სტადიონები. ეს გარკვეული ობიექტების პრივატიზაციიდან მიღებული თანხებით უნდა მოხდეს. საქართველოში ბევრი სტადიონი მართლაც სავალალო მდგომარეობაშია.

**- სტადიონები და ზოგადად ინფრასტრუქტურა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ სტადიონების მშენებლობით ფეხბურთი მიმზიდველი ვერ გახდება იმ ბიზნესმენებისთვის, ამ სფეროთი რომ არიან დაინტერესებულნი. საგადასახადო შეღავათების დაწესება ფეხბურთში ფულის მიმტანი მეწარმეებისთვის - ამ საკითხს ხელისუფლება საერთოდ არ განიხილავს? მაგალითად, იმის მსგავს პროექტს, რაც თურგუთ ოზალმა განახორციელა თურქეთში**

- ასეთი შეღავათები არც ბრაზილიაშია, არც არგენტინაში, არც გერმანიაში, არც ინგლისში... ხალხი ცუდ სტადიონზე არ მივა ფეხბურთის საყურებლად, ფეხბურთელს კი სათამაშოდ ელემენტარულად ნორმალური მინდორი უნდა გააჩნდეს - სახელმწიფო ყოველივე ამის მოწესრიგებას აპირებს. რაც შეეხება შეღავათებს, კანონით ეს უკვე დაშვებულია - თუ ბიზნესმენი ინვესტირებას უწევს ქველმოქმედებას და მათ შორის სპორტს, მოგების გადასახადი 8 პროცენტით უმცირდება. ვფიქრობ, ეს პატარა შეღავათი არ არის. უფრო დიდი და სხვა ტიპის შეღავათები თავის დროზე ჰქონდა თბილისის "დინამოს", მაგრამ ფული კორუფციის ჯიბეში წავიდა და ცხადია, გუნდსაც ამან ფაქტობრივად ვერაფერი არგო. ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენისთვის მთავარი, სწორი გათვლების გაკეთებაა.

**- გასაგებია, მაგრამ ნუთუ საქართველოში ვერავინ აკეთებს სწორ გათვლას - ყველა საფეხბურთო კლუბი ფაქტობრივად დოტაციაზეა და ეს ალბათ, იმის გამოც ხდება, რომ სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელ გარემოს ვერ ქმნის...**

- საქართველოში ფაქტობრივად არ არის ფეხბურთის მცოდნე ბიზნესმენი. წარმატებული ბიზნესმენობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ფეხბურთშიც წარმატებული იქნები. ფეხბურთი ძალიან სპეციფიკურია და ბიზნესის ახალი სფეროა საქართველოსთვის. თუ საფეხბურთო კლუბის მეპატრონეები კარგ საფეხბურთო მენეჯერებს დაიქირავებენ, საქმე წინ წაუვათ. ჩვენ საფეხბურთო ბიზნესი ჯერ კიდევ შესასწავლი გვაქვს.

**- იმაზე რას იტყოდით, რაც ფეხბურთის ფედერაციის წლევანდელ თუ შარშანწინდელ არჩევნებზე მოხდა?რამდენად წაადგება ეს საქართველოში ფეხბურთის განვითარებას? თქვენი ვაჟი გიორგი სპორტის მინისტრია და ალბათ გისაუბრიათ მასთან ამ და ზოგადად საფეხბურთო თემებზე...**

- ფეხბურთი მართლაც მაინტერესებს, თუმცა შვილთან ამაზე იშვიათად ვსაუბრობ. ფეხბურთზე ჩემს ძველ მეგობრებთან, ვერისბაღელებთან ვსაუბრობ ხოლმე. ჩემი ვაჟი კი მხოლოდ სპორტის პოლიტიკური ორგანიზატორია. არ ვიცი, რა მოხდა ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებზე, მაგრამ ვიცი, რომ ქართულ ფეხბურთს ჰყავს განათლებული ხელმძღვანელი, კარგი იურისტი და წესიერი კაცი, რომელიც მსოფლიო ფეხბურთზეა ორიენტირებული.

**- ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს თუ ესწრებით?**

- თამაშებზე დავდივარ, მაგრამ არც ერთი გუნდი არ მომწონს, გამორჩეული ფეხბურთელები კი მართლაც არიან ქართულ გუნდებში. "დინამოს" ამასწინანდელ მატჩში "ვადუცთან" ძალიან მომეწონა გიორგი მერებაშვილი, მაგრამ ვერ ვხედავ თვითონ გუნდის კონცეფციას. განვითარების ჩამოყალიბებული კონცეფცია თითქმის არც ერთ ქართულ საფეხბურთო კლუბს არ გააჩნია. ერთიორი გამონაკლისის გარდა არ ჩანან კონცეპტუალურად მომუშავე მწვრთნელები ქართულ გუნდებში. უმეტეს შემთხვევაში კლუბების მეპატრონეებს ასეთი მწვრთნელები არ მიჰყავთ თავიანთ გუნდებში, რაც კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, რომ საქართველოში საფეხბურთო მენეჯმენტი არ არის სათანადო დონეზე.

**- ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა ქართული კლუბებისთვის, მაგრამ არიან შედარებით პროგრესულად მოაზროვნე საფეხბურთო კლუბებიც, რომელთა მფლობელებს ალბათ აუცილებლად სჭირდებათ წახალისება სახელმწიფოსგან, რამეთუ ისინი მუდმივად ვერ დააფინანსებენ არარენტაბელურ საფეხბურთო კლუბს...**

- სახელმწიფო ახლა საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებაში აპირებს ფულის დახარჯვას და თუ ეს წარმატებებს მოიტანს, მერე სხვა ნაბიჯებსაც გადადგამს. ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებმა ჯერ თვითონ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და საერთოდაც, თუ ქვეყნისთვის კარგი საქმის კეთება გინდა, მთლად პრაგმატულად არ უნდა შეხედო ვითარებას, ცოტა რომანტიკოსიც უნდა იყო და საქმეში საკუთარი თავი ბოლომდე უნდა დახარჯო. სახელმწიფომ კი ასეთ ხალხს და ფეხბურთის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს. 90-იან წლების ბოლოს დავით ყიფიანმა მითხრა, მოედნის ხელოვნური საფარის შემოტანაზე იქნებ რაღაც შეღავათები დაწესდესო. გადასახადი 35 თუ 37 პროცენტი იყო და მივაღწიე იმას, რომ 5 პროცენტამდე შევამცირეთ. ახლა კი, თუ ვინმეს რაიმე კონცეფცია აქვს, მოიტანოს ჩემთან და გპირდებით, როგორც პარლამენტარი, ყველანაირად დავეხმარები, ამ კონცეფციას ფინანსურ სამსახურებთან განვიხილავთ და თუ მას კორუფციული ნაპრალები არ ექნება, მის განხორციელებას არ მგონია, წინ რამე დაუდგეს.

**დავით თავართქილაძე**

# გვაზავამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო

**ნალჩიკის "სპარტაკის" ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ლევანი ინტერნეტგაზეთ "ფუტბოლ როსიას" მომხდარის მიზეზებზე ესაუბრა და არ დამალა, რომ რუსეთში ლეგიონერები მძიმე დღეში არიან.**

- რუსეთის მოქალაქეობა გამკაცრებული ლიმიტის გამო მივიღე. დღეს რუსეთის პრემიერლიგაში უცხოელებს გვიჭირს. ამასთანავე, ჩემი მეუღლე რუსეთის მოქალაქეა და საცხოვრებელი ადგილი უნდა გამერკვია.

**- ამ ნაბიჯით საქართველოს ნაკრებში მოსახვედრი გზა მოიჭერით. იქნებ, მიწვევის იმედიც არ გქონდათ?**

- მე ჯერ არც ვიცი, შემიძლია თუ არა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება (ფეხბურთელი ასეთ შემთხვევაში მოქალაქეობას ავტომატურად დაკარგავს. რედ.). ჟირესის დროს მიწვევდნენ ნაკრებში და ყოველთვის მზად ვიყავი, გუნდს დავხმარებოდი. თუმცა ამჟამად არანაირი ინტერესი ალარ გააჩნიათ.

**- ნალჩიკში შარშან იმ დროს მიხვედით, როდესაც გუნდი ჩემპიონატის ლიდერებში იყო, ძირითადში მოხვედრა კი ძალიან რთული გახლდათ. რისი იმედი გქონდათ?**

- მაშინ ფიზიკურად მზად არ ვიყავი და ფორმის ასაკრეფად დრო მჭირდებოდა. მწვრთნელისთვისაც უნდა დამემტკიცებინა, რომ გუნდში საჭირო ვიყავი. მე ეს შევძელი და რაც მთავარია, შევძელით "სპარტაკის" გულშემატკივართა გახარება, მათნაირი მხარდამჭერი პრემიერლიგის არც ერთ გუნდს არ ჰყავს. საერთოდ კავკასიაში ფეხბურთი დღესასწაულზე მეტია.



ლევან გვაზავა

**- მაშინ "ლუჩ-ენერგიაში" რატომ გადახვედი?**

- წლის დასაწყისში "კრილია სოვეტოვში" ვიყავი. მაშინ იქ მწვრთნელი გაჯი გაჯიევი იყო, მაგრამ ის წავიდა და ჩემი გადასვლაც გაიწელა. ახალი მწვრთნელი არ ჩქარობდა საკითხის მოგვარებას და იძულებული გავხდი, უკან დავბრუნებულიყავი. ისე, სეზონი რთულად დაიწყო. ჯერ რუსეთის ვიზა დამიგვიანეს, ამას სამარელებთან გაურკვევლობა დაემატა და პირველი ორი შეკრება გამიცდა. მერე კი ვლადივოსტოკიდან დამიკავშირდნენ, გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზეს და მეც დიდხანს არ მიფიქრია, დავთანხმდი წინადადებას.

მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

# ონიანმა სამუშაო ვიზა მიიღო

## სეთურიძის ორგანიზმმა ექიმი გააოცა

ოთხშაბათს იენის "კარლ ცაისი" პრალას ესტუმრა და "ბოჰემიანსთან" საკონტროლო მატჩი ჩაატარა. თამაში გერმანელებმა 2:0 მოიგეს.

პრალელებთან მხოლოდ ორმა ქართველმა ითამაშა - **ილია კანდელაკი** ძირითად შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად ჩაამთავრა მატჩი. **რევაზ ბარაბაძემ** კი მე-80 წუთზე **ვერნერი** შეცვალა.

**გიორგი ონიანი** თბილისშია, გერმანიის ვიზა მიიღო და დღეს დილაუთენია იენაში გაემგზავრა. მან გვითხრა გიორგი სეთურიძის შესახებ: "გიორგიმ ტრავმა კი მიიღო, მაგრამ ამ დროს დავინახეთ გერმანელების ნალდი ბუნება. გაჭირვებაში ჩავარდნილ ბიჭს ხელი კი არ ჰკრეს, დატოვეს, კონტრაქტს გაუფორმებენ და დარწმუნებული ვარ, სეთურიძე "კარლ ცაისს" დიდ სამსახურს გაუწევს. აი, ესაა ადამიანობა, თორემ ფორმაში მყოფ მოთამაშეს ხელს არავინ ჰკრავს. მიხარია, რომ ასეთ გუნდში ვითამაშებ."

გიორგი სეთურიძემ კი იენის კლინიკაში ჯვარედინი იოგების ოპერაცია გაიკეთა და როგორც გვითხრეს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. აღდგენითი პროცესი სწრაფად წარიმართა და "კარლ ცაისის" ექიმი **რუდოლფ ელე** გაოცებულია, ბევრი ოპერაცია გამიკეთებია, მაგრამ ასეთი ძლიერი ორგანიზმი ჯერ არ მინახავსო.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა

| I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები | |
|---|---|
| ბატე (ბელარუსი)-აპოელ (კვიპროსი) | 3:0 დ.დ. (0:2) |
| რეინჯერსი (ანდორა)-შერიფი (მოლდოვა) | 0:3 (0:2) |
| კაუნასი (ლიტვა)-ზეტა (ჩერნოგორია) | 3:2 (1:3) |
| სარაევო (ბოსნია)-მარსაქსლოკი (მალტა) | 3:1 (6:0) |
| დინამო (ხორვატია)-ხაზარი (აზერბაიჯანი) | 3:1 დ.დ. (1:1) |
| ვენტსპილსი (ლატვია)-ტნს (უელსი) | 2:1 (2:3) |
| პიუნიკი (სომხეთი)-დერი (ირლანდია) | 2:0 (0:0) |
| ლევადია (ესტონეთი)-პობედა (მაკედონია) | 0:0 (1:0) |
| ტემპერე (ფინეთი)-მურატა (სან მარინო) | 2:0 (2:1) |
| ელფსბორგი (შვედეთი)-ლინფილდი (ჩრ. ირლანდია) | 1:0 (0:0) |
| ტორსჰავნი (ფარერები)-ჰაფნარი (ისლანდია) | 0:0 (1:4) |
| ჟილინა (სლოვაკეთი)-დუდელანჟი (ლუქსემბურგი) | 5:4 (2:1) |
| ტირანა (ალბანეთი)-დომჟალე (სლოვენია) | 1:2 (0:1) |

| II საკვალიფიკაციო ეტაპი |
|---|
| პიუნიკი (სომხეთი) - შახტარი (უკრაინა) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) - ლევადია (ესტონეთი) |
| რეინჯერსი (შოტლანდია) - ზეტა (ჩერნოგორია) |
| დებრეცენი (უნგრეთი) - ელფსბორგი (შვედეთი) |
| ზაგლებე (პოლონეთი) - სტიაუა (რუმინეთი) |
| გენკი (ბელგია) - სარაევო (ბოსნია) |
| ვენტსპილსი (ლატვია) - ზალცბურგი (ავსტრია) |
| ასტანა (ყაზახეთი) - რუსენბორგი (ნორვეგია) |
| ჰაფნარი (ისლანდია) - ბატე (ბელარუსი) |
| კოპენჰაგენი (დანია) - ბეითარი (ისრაელი) |
| ჟილინა (სლოვაკეთი) - სლავია (ჩეხეთი) |
| ტემპერე (ფინეთი) - ლევსკი (ბულგარეთი) |
| დომჟალე (სლოვენია) - დინამო (ხორვატია) |
| ბეშიქთაში (თურქეთი) - შერიფი (მოლდოვა) |

*პირველი მატჩები 31 ივლისაა და 1 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო - 7/8 აგვისტოს*

ვერდერი. ტრანსფერი და შოკი

# კლოზეს შემცვლელი... სანოგო!

## ტორსტენ ფრინგსი 6 თვე დაისვენებს!

გუშინწინ "ვერდერმა" ის ფეხბურთელი წარადგინა, რომელმაც ბრემენულ კლუბში "ბაიერნში" გადასული **მიროსლავ კლოზე** უნდა შეცვალოს. "მუსიკოსთა" ახალი თავდამსხმელი არც მეტი, არც ნაკლები, კოტ დ'ივუარელი ფორვარდი **ბოუბაკარ სანოგოა**, რომელმაც "ვერდერს" "ჰამბურგიდან" მიაშურა. 24 წლის თავდამსხმელი ჟურნალისტებს ბრემენული გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** წარუდგინა - სანოგომ "ვერდერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა და ცნობილია, რომ "ჰამბურგმა" ამ ფორვარდის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო მიიღო.

*"ჩემი აზრით, მოსალოცად გვაქვს საქმე,"* - განაცხადა ალოფსმა პრესკონფერენციაზე. მოსალოცად? ჩვენს გერმანელ კოლეგებს და გულშემატკივრების უდიდეს ნაწილს ამაში ეჭვი ეპარება და არცთუ უსაფუძვლოდ. ერთი წლის წინათ სანოგო "კაიზერსლაუტერნიდან" HSV-ში უდიდესი ზარ-ზეიმით გადავიდა (3.8 მილიონ ევროდ), მაგრამ ჩრდილოგერმანულ კლუბში იმედები აშკარად ვერ გაამართლა. თავად განსაჯეთ, სანოგომ გასულ სეზონში ბუნდესლიგაში 31 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 4 გოლი გაიტანა, რაც, დაგვეთანხმებით, რომ თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია. მიუხედავად ამისა, "ვერდერის" ბოსებს და მთავარ მწვრთნელ **თომას შაafს** სჯერათ, რომ კოტდ'ივუარელი ბრემენში გაიხსნება და გოლებს გაიტანს.

ასეა თუ ისე, სანოგო უკვე "მუსიკოსი" გახლავთ და ის "ვერდერის" 18 ნომრიანი მაისურით ისპარეზებს. ფაქტი გახლდათ, რომ ეს ფეხბურთელი ბრემენელთათვის ნომერი პირველი არჩევანი არ იყო, რადგან მანამდე "ვერდერში" გადასვლაზე უარი თქვეს ისეთმა თავდამსხმელებმა, როგორებიც არიან **ლუკას პოდოლსკი, როი მაკაი, კლაუდიო პისარო და მილან ბაროში**.

ალოფსი: *"თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ფეხბურთელი გამოუვალი მდგომარეობის გამო ვიყიდეთ, ძალიან ცდება. ჩვენ სანოგოს შესაძლებლობებში 100 პროცენტით დარწმუნებულები ვართ."* ჰამბურგის შეფები კი იმაში არიან დარწმუნებულები, რომ ფორვარდი, რომელმაც მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა და გუნდში ერთ-ერთი უსუსტესი წერტილი იყო, ძალიან სარფიანად გაყიდეს.

*"მე არ ვარ ახალი კლოზე, მე ჩემი პლუსები მაქვს და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რათა დავამტკიცო, რომ "ვერდერში" თამაშის ღირსი ვარ,"* - ეს კი სანოგოს სიტყვებია, რომელმაც გუშინწინვე "მუსიკოსების" რიგებში პირველი მატჩი ჩაატარა. მართალია, ბრემენელები "პადერბორნთან" ამხანაგურ შეხვედრაში 1:2 დამარცხდნენ, მაგრამ გულშემატკივრებისთვის სასიხარულო ის გახლდათ, რომ ის ერთადერთი გოლი სწორედ კოტდ'ივუარელმა გაიტანა.

მაგრამ ამავე ტესტმატჩში ისეთი რამ მოხდა, რამაც შააფი და "ვერდერის" აბსოლუტურად ყველა ფანი შოკში ჩააგდო. 38-ე წუთზე **ტორსტენ ფრინგსმა** ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ საყრდენ ნახევარმცველს ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი და სასწრაფოდ საოპერაციოა. ფრინგსი 4-იდან 6 თვემდე დაისვენებს.

*"ყველანი შოკში ვართ. ფრინგსი ჩვენი ლიდერი და შეუცვლელი ფიგურაა. მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება,"* - ეს შააფის სიტყვებია. ხოლო, თვითონ დაზარალებულმა კი თქვა, რომ დღეიდან მოუთმენლად დაელოდება იმ დღეს, როცა მოედანზე გასვლას შეძლებს...

**გოტფრიდ ლენცი**




სანოგოს პრეზენტაცია

გერმანიის ლიგის თასი. ნახევარფინალი

# კობიაშვილის გატეხილი ნავსი

## ლევანის გოლი შალკეს შვიდწუთიანი იდეალური ფეხბურთის დასაწყისი იყო...



კობის გოლი

| ნიურნბერგი-შალკე | 2:4 |
|---|---|

**ნიურნბერგი:** კლევერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი (46. კრისტიანსენი), იაკობსენი, გალაშეკი, ენგელჰარდტი, მიშიმოვიჩი (52. მინტალი), ვიტეკი, ხარისტეასი (63. კენედი), საენკო.

**შალკე:** ნოიერი, ბოენიში (46. ჯონსი), ვესტერმანი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი (63. ბაირამოვიჩი), კობიაშვილი, რაკიტიჩი, ასამოა (46. ჰალილ ალთინთოფი), კურანი, ლოვენკრანდსი.

**გოლები:** 1:0 ვიტეკი (20), 1:1 კობიაშვილი (38), 1:2 ფ. ერნსტი (43), 1:3 ლოვენკრანდსი (45), 1:4 ვესტერმანი (58), 2:4 ვიტეკი (73).

**გაფრთხილება:** 2-0.

**მაყურებელი:** 20 000.

გერმანიის ლიგის თასის პირველი ეტაპის შემდეგ ყველამ "ბაიერნი" აქო და ადიდა, რადგან რეკორდმაისტერმა "ვერდერს" კუდით ქვა ასროლინა. "შალკესთვის" კი (1:0 და უნიათო თამაში "კარლსრუესთან"), ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მხოლოდ კრიტიკა "გაიმეტეს". მაგრამ ნახევარფინალში **ლევან კობიაშვილის** გუნდმაც დაამტკიცა, რომ მართალია, ისეთი ვარსკვლავები არ ჰყავს, როგორებიც "ბაიერნმა" შეიძინა, მაგრამ მონდომების შემთხვევაში ზუსტად ისეთივე ლამაზი და ლაღი ფეხბურთის ჩვენება შეუძლია, როგორც მიუნხენურ გიგანტს. **მირკო სლომკას** გუნდმა გერმანიის თასის მფლობელი "ნიურნბერგი" 7 წუთში 3 გოლით "დაასაჩუქრა" და რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, "შალკეს" წარმატებას სათავე **ლევან კობიაშვილმა** დაუდო, რომელმაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ისევ გაიტანა უმნიშვნელოვანესი და ძალიან ეფექტური გოლი. თუმცა ამ გოლზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, აქ კი იმასღა გეტყვით, რომ ლევანმა მოედანზე უდიდესი სამუშაო გასწია და "შალკეს" რიგებში **კურანისთან** ერთად ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

"ნიურნბერგის" მთავარი მწვრთნელი **ჰანს მაიერი** ამბობდა, ფინალში გასვლა და ამ ტურნირის მოგება გვსურსო და "შალკესთან" გასამართ ამ შეხვედრას ყველაზე მნიშვნელოვანი ტესტმატჩი უწოდა. "რკინის ჰანსმა" სასტარტო შემადგენლობაში სამი ახალწვეული გაამწესა: დანიელი მარცხენა მცველი **იაკობსენი**, ბოსნიელი ფლეიმეიქერი **მიშიმოვიჩი** და ბერძენი თავდამსხმელი **ანგელოს ხარისტეასი**, რომელმაც "ნიურნბერგში" **მარკუს შროთი** უნდა შეცვალოს. გელზენკირხენელთა თავკაცმა სლომკამ კი, ყველასათვის მოულოდნელად, სათადარიგოთა სკამზე დატოვა **ჰალილ ალთინთოფი** - თავდამსხმელი, რომელმაც "კარლსრუესთან" შესანიშნავად ითამაშა და გამარჯვების გოლიც გაიტანა. თურქის ნაცვლად სასტარტოში კევინ კურანი ვიხილეთ, რომელმაც ორი წლის წინათ მიღებული დისკვალიფიკაცია მოიხადა. დაცვის ცენტრში, დაშავებული კაპიტანი **მარსელო ბორდონი** ახალწვეულმა **ჰაიკო ვესტერმანმა** შეცვალა და სხვათა შორის, ძალიან კარგად.

პირველ წუთებში გელზენკირხენელები მასპინძელ ფრანკებზე (თამაში ნიურნბერგში ჩატარდა) გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, მაიერის გუნდი კი ხისტი ფეხბურთით გამოირჩა. მაგრამ პირველი სახიფათო მომენტი მაინც ჰანსის ბიჭებმა შექმნეს, როცა რუსმა **ივან საენკომ** გუნდის ახალი კაპიტანი **ტომაშ გალაშეკი** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ამ შეტევიდან არაფერი გამოვიდა, რადგან **მანუელ ნოიერმა** იმარჯვა. ცოტა ხანში **ჯერალდ ასამოას** მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ მასთან ორთაბრძოლაში ფრანკების ბრაზილიელმა მცველმა **გლაუბერმა** იმარჯვა.

პირველი გოლი 25-ე წუთზე გავიდა და უნდა ითქვას, რომ ნიურნბერგელებმა ძალიან ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს: კარიდან 25 მეტრში ხარისტეასმა ბურთი კარგად გაიჩერა და მიშიმოვიჩს უპასა, ამ უკანასკნელმა კი მყისვე **რობერტ ვიტეკი** მოძებნა. "შალკეს" მცველები ხელოვნური თამაშგარის შექმნას ცდილობდნენ, მაგრამ ფრანკებმა ყველაფერი იმდენად იდეალურად გააკეთეს, რომ საცოდაობა იქნებოდა, ვიტეკი თამაშგარეში რომ აღმოჩენილიყო. ერთი სიტყვით, სლოვაკმა ფორვარდმა ნოიერს შანსი არ დაუტოვა.

გატანილი გოლის შემდეგ, უპირატესობას მაიერის გუნდი დაეუფლა - ფრანკებმა პრაგმატული ფეხბურთი გააჩაღეს, ზუსტად ისეთი, გასულ სეზონში რომ თამაშობდნენ და შედეგად ბოლო ტურამდე ყველა დანარჩენ გუნდზე ნაკლები წაგება რომ ჰქონდათ. მაგრამ მასპინძლების ბატონობა 38-ე წუთამდე გაგრძელდა, იქამდე, სანამ კობიმ ანგარიში არ გაათანაბრა. კურანიმ შესანიშნავი პასი მისცა და რაც მთავარია, დროულად მოძებნა ლევანი, რომელიც მეკარე **კლევერთან** ფაქტობრივად პირისპირ დარჩა და 16 მეტრიდან ერთობ მახვილგონივრული გოლი შეაგდო.

კობიაშვილის გოლმა "ნიურნბერგის" ნაქები დაცვა მოშალა და მწყობრიდან გამოიყვანა. და გარდა იმისა, რომ "ხუმარებმა" 7 წუთის განმავლობაში კიდევ ორი გოლის გატანა შეძლეს, არაერთი საგოლე მომენტიც შექმნეს და მოკლედ რომ ვთქვათ, სლომკას გუნდმა იმ 7 წუთის განმავლობაში იდეალური ფეხბურთი ითამაშა. 39-ე წუთზე კლევერმა **ფაბიან ერნსტის** ჩინებული დარტყმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერია, 42-ე წუთზე კი კურანიმ ვერ დაუხვედრა ბურთს თავი კარგად, თორემ კარი ცარიელი იყო და... ზუსტად ერთ წუთში საგოლე პასის ავტორობა ისევ კურანიმ იტვირთა, რომელმაც ერნსტს უპასა, ამ უკანასკნელმა კი 10 მეტრიდან გაიტანა და "შალკე" წინ გაიყვანა. ხოლო პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კი, კევინმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **ივან რაკიტიჩი**, რომელმაც კლევერი მოატყუა და **პეტერ ლოვენკრანდს** უპასა. დანიელს გატანა, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია...

მეორე ნახევარში უკვე გელზენკირხენელებმა გააჩაღეს პრაგმატული ფეხბურთი და მეტოქისგან განსხვავებით ეს ძალიან კარგად გამოუვიდათ. მეტიც, სლომკას შეგირდებმა კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხეს და ეს გოლი ვესტერმანის ანგარიშზეა, რომელმაც 58-ე წუთზე რაკიტიჩის მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ბურთი კლევერის კარში თავით გადაგზავნა. 73-ე წუთზე კობი და კომპანია მოდუნდა, რითაც ვიტეკმა ისარგებლა და სხვაობა შეამცირა (ამავე დროს, დუბლი გაიფორმა), მაგრამ "შალკემ" მეტოქეს მეტი აღაფერი გააბედინა და 2001 წლიდან მოყოლებული მეოთხედ გავიდა ლიგის თასის ფინალში, სადაც შაბათს "შტუტგარტსა" და "ბაიერნს" შორის გამარჯვებულს შეხვდება...

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# რიბერი: შვაინის მაგრად გავუგე!

## ჰიტცფელდი: ფრანკი ჩვენთვის ბედნიერი შემთხვევაა!

„ვერდერის" 4:1-ზე განადგურების შემდეგ, „ბაიერნის" ფრანგი ახალწვეული **ფრანკ რიბერი**, რომელმაც პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და აშკარად ეტყობა, რომ ადაპტაციის პერიოდი დიდხანს არ გაუგრძელდება, ძალიან ბედნიერია. რიბერიმ ბრემენული გუნდის კარში 2 გოლი გაიტანა და აღსანიშნავია, რომ არა ფლანგზე, არამედ ფლეიმეიქერის პოზიციაზე თამაშობდა – ცენტრში, წინ ეულად მყოფი **მიროსლავ კლოზეს** უკან. *„რიბერი ბედნიერი შემთხვევაა!"* – ასეთი გახლავთ **ოტმარ ჰიტცფელდის** პასუხი კითხვაზე, რას იტყოდით ფრანკზეო.

*„გუნდში ყველაზე უკეთ ბასტიან შვაინშტაიგერს გავუგე. ყველასთან ძალიან ახლოს ვარ, მაგრამ შვაინისთან განსაკუთრებით. შაბათს კი დამტკიცდა, რომ ჩვენ მოედანზეც შესანიშნავად ვუგებთ ერთმანეთს. ორივე ახალგაზრდა ფეხბურთელები ვართ, ბურთს ფაქიზად ვეპყრობით და რაც მთავარია, დიდხანს ფიქრი არ გვჭირდება იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ, რა მოვიმოქმედოთ მოედანზე. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ფეხბურთის თამაში ორივეს უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს,"* – აცხადებს რიბერი, რომელმაც რეკორდმაისტერს მარსელის „ოლიმპიკიდან" 25 მილიონი ევროს სანაცვლოდ მიაშურა. მოკლედ, ფრანგი ნახევარმცველი თავისი ახალი ყოფით ბედნიერი გახლავთ. თანაც, პირად ცხოვრებაშიც შესანიშნავი სიახლე აქვს: მისი მეუღლე **ვაჰიბა** მეორე ბავშვს ელოდება. როგორც იცით, წყვილს უკვე ჰყავს 2 წლის ქალიშვილი **ჰიზიზა**.

გუშინ „ბაიერნი" გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალში გერმანიის მოქმედ ჩემპიონ „შტუტგარტს" დაუპირისპირდა და ცხადია, რომ შვაბებს ყველაზე მეტად სწორედ რიბერისი ეშინოდათ. *„რა თქმა უნდა, ფინალში გასვლა და მოგება მსურს!"* ამბობდა ფრანგი ვარსკვლავი ჯერ კიდევ თამაშამდე. კითხვაზე, ხომ არ ეშინია, რომ ერთ დღესაც ძალიან მაგრად დაილეწება, რიბერი ასე პასუხობს: *„გამორიცხული არაფერია, მაგრამ ამის გამო თავის დაზოგვას არ ვაპირებ. ეს ჩემი სტილია – ყოველთვის და ყველა საქმეში ბოლომდე უნდა დავიხარჯო."*

რიბერი გერმანულ ენას ნელ-ნელა სწავლობს. რეკორდმაისტერში მისი თარჯიმნის როლის შესრულება ჯერჯერობით **დანიელ ვან ბუიტენს** უწევს. თუმცა წინსვლა იგრძნობა, რადგან რიბერი Bonjour-ის ნაცვლად უკვე ამბობს: Servus და Guten Tag...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მური ავსტრალიაში წავიდა

"გლაზგო რეინჯერსისა" და "ნიუკასლის" ყოფილი მცველი, ავსტრალიელი **კრეიგ მური** სამშობლოში ბრუნდება. ვეტერანმა ფეხბურთელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ქალაქ ბრისბენის კლუბ "ქვინსლენდთან".

ავსტრალიის ნაკრების კაპიტნის სამშობლოში გამგზავრების მთავარი მიზეზი ისაა, რომ 31 წლის მურმა ოჯახთან უფრო ახლოს ყოფნის სურვილი გამოთქვა.

ამ მცველს ავსტრალიის ნაკრებში 38 მატჩი აქვს ჩატარებული.

## ნიანგი მგელი გახდა

**ალექსანდერ ლაასისა** და **მარსელ შეფერის** გადაბირების შემდეგ, "ვოლფსბურგმა" კიდევ ერთი, რიგით მეთერთმეტე ტრანსფერი სრულყო - "მგლებმა" სენეგალის ნაკრების თავდამსხმელი **მამე შეიხ ნიანგი** შეიძინეს. ამ უკანასკნელმა "ვოლფსბურგს" სამხრეთაფრიკული "მოროკადან" მიაშურა. კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა. ნიანგი 1.94 მეტრი სიმაღლისაა და "მგლების" მთავარი მწვრთნელის, **ფელიქს მაგათის** თქმით, მას სწორედ ასეთი თავდამსხმელი სჭირდებოდა...

## ადუ ბენფიკას ვერ შეუთანხმდა

ამერიკელი ვუნდერკინდი **ფრედი ადუ** მომავალ წელსაც MLS-ში ითამაშებს. 18 წლის ფეხბურთელი პორტუგალიის "ბენფიკასთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ მხარეები ფეხბურთელის პირადი კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

არადა, უფრო ადრე, MLS-ის ხელმძღვანელობამ და ლისაბონურმა კლუბმა, ადუს ტრანსფერთან დაკავშირებით 2 მილიონ დოლარზე მოილაპარაკეს.

## ჩილეს დელ სოლარი გაწვრთნის

ჩილეს ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. როგორც ვიტყობინებოდით, კოპას ამერიკის შემდეგ, ამ გუნდის დამრიგებლის პოსტი დაატოვებინეს **ხულიო სესარ ურიბეს**, რომელსაც კოპას მეოთხედფინალში ბრაზილიასთან 0:6 წაგება არ აპატიეს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ურიბეს ადგილი 39 წლის **ხოსე დელ სოლარმა** დაიკავა. ეს ახალგაზრდა სპეციალისტი, თავის დროზე ესპანეთში "ტენერიფესა" და "ვალენსიის" ღირსებას იცავდა, კიდევ შვიდი წლინადი ჩილეს კლუბებში გაატარა. რაც შეეხება დელ სოლარის სამწვრთნელო კარიერას, ის "სპორტინგ კრისტალში" დაიწყო და "უნივერსიდად კატოლიკაში" გაგრძელდა.

## კატანიას რადიაციის შეეშინდა

სერია A-ს ბინადარი "კატანია" იაპონიაში დაგეგმილ ტურნეს აუქმებს. იტალიელებმა ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავრება რადიაციის შიშით გადაიფიქრეს.

ცოტა ხნის წინათ, იაპონიაში რიხტერის შკალით 6.8 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, რამაც ნიიგატას პრეფექტურაში არსებული ატომური სადგურიდან რადიოაქტიური ნივთიერებების მცირე რაოდენობით გაჟონვა გამოიწვია.

"კატანიას" იაპონიაში სამი ამხანაგური მატჩის გამართვა ჰქონდა დაგეგმილი - "ჩიბასთან", "იოკოჰამასა" და "ივატასთან".

## ვილიარეალმა ბაპტიშტასთვის 15 მილიონი გაამზადა

"ვილიარეალი" ბრაზილიელი **ჟულიო ბაპტიშტათი** სერიოზულად არის დაინტერესებული. გაზეთ "მარკას" ინფორმაციით, კლუბის მესვეურები მადრიდის "რეალს" დაუკავშირდნენ და კოპა ამერიკის ფინალის ერთ-ერთ გმირში 10 მილიონი ევრო შესთავაზეს. "სამეფო კლუბმა" ფეხბურთელის ამ თანხად დათმობა არ მოისურვა და მთხოვნელები უარით გაისტუმრა.

თუმცა "ვილიარეალი" არ დანებდა და ორი დღეში ახალი წინადადებით მიმართა "რეალს". კერძოდ, ამ კლუბმა თანხა 15 მილიონ ევრომდე გაზარდა. ჯერჯერობით უცნობია, რა პასუხი გასცა "რეალმა" ამ წინადადებას. ცნობილია, რომ დაახლოებით ორი კვირის წინათ, მადრიდელებმა გამოაცხადეს - ბაპტიშტას მას დარჩება, ვინც ფეხბურთელში 20 მილიონს გადაიხდისო.

## ჟენგ ჟი ბირმინგემსაც უნდა

"ჩარლტონის" ჩინელ ლეგიონერ **ჟენგ ჟიზე** "ბირმინგემიც" აცხადებს პრეტენზიას. ამ ფეხბურთელმა შარშან, პრემიერლიგაში 12 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

ბირმინგემელთა დამრიგებელი **სტივ ბრიუსი** 26 წლის ფეხბურთელით ნახევარდაცვის ცენტრის გაძლიერებას აპირებს. შეგახსენებთ, ჟენგ ჟის გადაბირებას "ნიუკასლიც" აპირებს.

## ხავი ნავარო სუპერთასზე არ იქნება

10 აგვისტოს ოფიციალურად გაიხსნება ესპანეთის საფეხბურთო სეზონი. ქვეყნის სუპერთასის პირველ მატჩში, ქვეყნის თასის მფლობელი "სევილია" ჩემპიონ "რეალს" უმასპინძლებს.

როგორც ცნობილი ხდება, უეფას თასის ორგზის გამარჯვებული მადრიდულ კლუბს შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდება. კერძოდ, "სევილიის" მცველმა **ხავი ნავარომ** ფეხი დაიზიანა და ამის გამო არ ითამაშებს "რეალის" წინააღმდეგ.

საპასუხო მატჩი 19 აგვისტოს, მადრიდის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება.

## თუ რობენი არა, მაშინ დრენტე

მადრიდის "რეალმა" ვერ შეძლო "ჩელსიდან" ჰოლანდიელი **არიენ რობენის** შეძენა და ახლა, "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობამ მთელი ყურადღება კიდევ ერთი ჰოლანდიელის, **როისტონ დრენტეს** შეძენაზე გადაიტანა. ეს ფეხბურთელი "ფეიენოორდის" საკუთრებაა და ჰოლანდიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება.

თუ გაზეთ "მარკას" დავუჯერებთ, დრენტეს მადრიდში გადაბარგება დროის საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ეს ფეხბურთელი რომ "ფეიენოორდს" დატოვებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. საქმე ისაა, რომ როტერდამული კლუბის 2007-08 წლების სეზონისთვის გადაღებულ ახალ გუნდურ ფოტოზე დრენტე არ არის გამოსახული. სხვა საკითხია, ჰოლანდიელი "რეალს" დარჩება თუ "ბარსელონას".

## ნიუკასლი ნორვეგიელ მცველს უმიზნებს

"ნიუკასლის" ახალი მთავარი მწვრთნელი **სემ ელერდაისი** სასელექციო მუშაობას აგრძელებს. ამ მომენტისთვის, ნიუკასლელთა მთავარი საზრუნავი დანიის "კოპენჰაგენიდან" მცველ **ბრედე ჰანგელანდის** გადაბირება ყოფილა.

26 წლის ნორვეგიელი ფეხბურთელის აგენტმა დაადასტურა "კაჭკაჭების" დაინტერესება: *"დიახ, "ნიუკასლი" იმ კლუბების სიაში შედის, რომლებსაც ჰანგელანდის შეძენა უნდათ. ჩვენ მოცდა მოგვიწევს,ვინაიდან საბოლოოდ, ყველაფერი "კოპენჰაგენის" ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია".*



მანუელე ბლაზი

მანჩესტერ სიტი

# კიელინის შემდეგ ბლაზი

### ერიქსონის გუნდი ნერი კასტილიოს შეუთანხმდა

"მანჩესტერ სიტი" სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას განაგრძობს. Daily Mirror-ის ინფორმაციით, **სვენ-გორან ერიქსონის** გუნდმა, "ოლიმპიაკოსთან" კოპა ამერიკის მთავარ აღმოჩენად მიჩნეული მექსიკელის, **ნერი კასტილიოს** ტრანსფერის პირობები შეათანხმა.

მომავალი კონტრაქტის დეტალების შესახებ, მხარეებს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. ისე კი, ცოტა ხნის წინათ, დონეცკის "შახტარმა" ბერძნულ კლუბს 13 მილიონი დოლარი შესთავაზა მექსიკის ნაკრების ახალი ლიდერის სანაცვლოდ, მაგრამ "ოლიმპიაკოსის" მფლობელმა **სოკრატეს კოკალისმა** უარი განაცხადა ნერის გაყიდვაზე. ამიტომაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინგლისელები 13 მილიონზე მეტს იხდიან.

გუშინ ვწერდით იმის შესახებ, რომ "სიტიმ" დაცვის ხაზის გასაძლიერებლად, "იუვენტუსს" **ჯორჯო კიელინის** ტრანსფერზე ჩამოუგდო სიტყვა. კერძოდ, ინგლისელები იტალიის ნაკრების ფეხბურთელში 6.7 მილიონ დოლარს იხდიან.

ახლა კი ირკვევა, რომ "მანჩესტერ სიტი" ტურინული კლუბის კიდევ ერთ ფეხბურთელზე აცხადებს პრეტენზიას. ეს გახლავთ **მანუელე ბლაზი**, რომელიც ამჟამად "ფიორენტინაში" არენდით იმყოფება. სხვათა შორის, კიელინიც და ბლაზიც უარს არ იტყოდნენ კლუბის გამოცვლაზე. *"ამ ზაფხულს, ეს ფეხბურთელები ჩვენი გუნდის მთავარი შენაძენები უნდა გახდნენ"* - მოყავს ერიქსონის სიტყვები "სქაი სპორტს".

ბლაზისა და კიელინის ერთი აგენტი ჰყავთ **დავიდ ლიპი**, რომელიც დღეს შეხვდება "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას და ფეხბურთელების გადასვლაზე მოელაპარაკება.

ინტერი

# ზლატანის ხუთწლიანი

### იბრაჰიმოვიჩი მილანში დარჩა და გოლი გაიტანა

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** "ინტერთან" ხუთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. შვედი ფორვარდი მილანურ კლუბში 2012 წლის 30 ივნისამდე დარჩება, ხოლო მისი ხელფასი წელიწადში 4-დან 5 მილიონამდე გაიზრდება.

*"ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი ხელშეკრულება შემომთავაზა, ახალი პირობებით კმაყოფილი დავრჩი და ხელიც ჩამოვართვით ერთმანეთს"*, - განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ფეხბურთელმა ისიც გაამხილა, რომ მას "ჩელსისა" და "რეალის" წარმომადგენლები დაუკავშირდნენ, მაგრამ შვედმა ისინი უარით გაისტუმრა. *"მხოლოდ "ინტერში" თამაში მსურს, აქ კომფორტულად ვგრძნობ თავს. მჯერა, რომ ჩემი კლუბი გაისად შარშანდელზე უკეთეს შედეგს აჩვენებს. კერძოდ, ძალიან მინდა ჩემპიონთა ლიგის მოგება. მილანში ჩემი ოჯახიც კარგად გრძნობს თავს. ერთი თვის წინათ, აქ სახლში შევიძინე და ჩემი ცხოვრების კარდინალურად შეცვლის აზრს ვერ ვხედავ"*, - ამბობს ფორვარდი.



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

სხვათა შორის, "ინტერმა" იტალიის პატარა ქალაქ ბრუნეკში ბელგრადის "პარტიზანთან" ამხანაგური მატჩი გამართა. იტალიის ჩემპიონმა მინიმალური ანგარიშით - 1:0 გაიმარჯვა და ეს ერთადერთი გოლი სწორედ ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გაიტანა.

ტრანსფერები

# ესპანელები არ ძუნწობენ

### ბუნდესლიგაში უკვე ახალი რეკორდი დამყარდა



პეპე ყველაზე ძვირია

სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ ესპანური კლუბები შარშანდელ გრაფიკს მნიშვნელოვნად უსწრებენ. საქმე ეხება ახალი ფეხბურთელების შესაძენად დახარჯული თანხის რაოდენობას. ჯერჯერობით, პრიმერას გუნდებმა ჯამში 276 მილიონი ევრო დახარჯეს, თანაც ამ თანხიდან 102 მილიონი ევრო მცველების შეძენას დასჭირდა.

ამ მომენტისთვის, ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერის ავტორი მადრიდის "რეალია", რომელმაც ბრაზილიელ ცენტრალურ მცველ **პეპეში**, "პორტუს" 30 მილიონი ევრო გადაუხადა. 24 მილიონ ევრო დაუჯდა "ბარსელონას" "არსენალიდან" **ტიერი ანრის** გადაყვანა, ხოლო მადრიდის "ატლეტიკომ" 21 მილიონი ევრო გაიღო "ვილიარეალის" ფორვარდ **დიეგო ფორლანის** სანაცვლოდ.

ტრანსფერების თანხის ჯამური მაჩვენებლით, კლუბებს შორის "ბარსელონა" ლიდერობს - ოთხი მოთამაშისთვის მან 68 მილიონი დახარჯა. ახალი ფეხბურთელების შესაძენად ყველაზე ნაკლები თანხა გაიღეს "რასინგმა" და "მალიორკამ.

ესპანეთში სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება. შეგახსენებთ, რომ შარშან, პირენეებზე ტრანსფერებში ჯამში 301 ევრო დაიხარჯა.

■ ■ ■

გერმანიაში კი, ტრანსფერების თანხის ოდენობის მხრივ, უკვე რეკორდი დამყარდა. იქაური საინფორმაციო სააგენტო sid-ის ინფორმაციით, ამ ეტაპზე ბუნდესლიგის კლუბებმა ახალი მოთამაშეებისთვის 150 მილიონი ევრო დახარჯეს, რითაც გააუმჯობესეს 2001-02 წლებში დაფიქსირებული რეკორდი - მაშინ, შემადგენლობების განახლებისთვის, ჯამში 147 მილიონი იქნა გადახდილი. შარშან, ანალოგიურმა თანხამ 110 მილიონი შეადგინა.

სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე აქტიური "ბაიერნია" - მისმა ინვესტიციებმა 69 მილიონი ევრო შეადგინა. სხვათა შორის, ეს არის 46 პროცენტი იმ მთლიანი თანხისა, რომელიც ბუნდესლიგის კლუბებმა ამ ზაფხულში გაიღეს. მეორე ადგილზეა "ლევერკუზენი" - მისი ანალოგიური მაჩვენებელი 14.3 მილიონს უტოლდება.

სხვათა შორის, ფეხბურთელების გაყიდვიდან მიღებული თანხების რაოდენობითაც "ბაიერნია" ლიდერი. მარტო **ოუენ ჰარგრივსის** "მანჩესტერ იუნაიტედში" გაშვებით, კლუბმა 26 მილიონი მიიღო, ხოლო **როი მაკაი** "ფეიენოორდში" 5 მილიონ ევროდ გაიყიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დე როსი: კივუ ინტერში გადავა

სულ მალე **კრისტიან კივუ** "რომას" დატოვებს და "ინტერთან" გააფორმებს ხელშეკრულებას - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა რუმინელი მცველის თანაგუნდელმა **დანიელე დე როსიმ**.

*"ძალიან ვწუხვარ, რომ კივუ "რომადან" მიდის, მით უმეტეს, რომ ის ჩვენი უშუალო კონკურენტის შემადგენლობას გააძლიერებს"*, - ამბობს დე როსი.

თავად დანიელე, მიუხედავად მისი პიროვნებით ევროპული გრანდების დაინტერესებისა, "რომას" დატოვებას არ აპირებს.

*"სხვა გუნდში საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია. თუმცა ვაღიარებ, რომ ახალ კლუბში გადასვლაზე მაინც ვფიქრობდი. სხვაგან შემეძლო ტიტულების მოგებაზე მეფიქრა, მაგრამ "რომა" გამარჯვებების გარეშეც უდიდეს კლუბად რჩება"*, - აცხადებს იტალიის ნაკრების ნახევარმცველი.

## ნაპოლიმ გარგანო შეიძინა

სერია A-ში დაბრუნებულმა "ნაპოლიმ" კონტრაქტი გააფორმა ურუგვაის ნაკრების 23 წლის ნახევარმცველ **ვალტერ გარგანოსთან**. ნეაპოლურმა კლუბმა ეს ფეხბურთელი ურუგვაის "დანუბიოდან" შეიძინა და მასთან 5-წლიანი ხელშეკრულება დადო.

გარგანოზე პრეტენზიას აგრეთვე "ლაციო", "ატალანტა" და "ფიორენტინა" აცხადებდნენ.

## სუპერლიგა დაიწყო

**დევიდ ბექჰემის** ტრანსფერის შემდეგ, "ლოს ანჯელეს გალაქსიმ" პირველ გამარჯვებას მიაღწია. როგორც იცით, ჩრდილოეთ ამერიკაში ახალი ტურნირი ჩამოყალიბდა - სუპერლიგაში ოთხი ამერიკული და ოთხი მექსიკური კლუბი იღებს მონაწილეობას.

გახსნის მატჩში ბექჰემის გუნდი "პაჩუკას" ხვდებოდა და 2:1 მოიგო. გამარჯვებულთაგან გოლები **გორდონმა** და **დონოვანმა** გაიტანეს, მექსიკელთა მხრიდან **ლუგომ** გამოიჩინა თავი.

თავად ბექზს ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ადრე იყო გამოცხადებული, რომ ინგლისელი ტრავმის გამო მინდორზე ვერ გავიდოდა.

## ციხე მინდორზე შეჭრისთვის

ის დანიელი გულშემატკივარი, რომელიც ივნისში, დანიასა და შვედეთის ნაკრებთა შესარჩევი შეხვედრის დროს მინდორზე გაიჭრა და გერმანელ არბიტრ **ჰერბერტ ფანდელს** დაესხა თავს, სამწლიანი პატიმრობით დაისჯება.

ეს მკაცრი სასჯელი მას დანიელ პოლიციელზე თავდასხმისთვის გამოუტანეს.

## კოპა ამერიკა ვალენსიაში?

სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს ესპანური პრესა. ქალაქი ვალენსია 2009 წლის კოპა ამერიკის მასპინძლობას აპირებს.

ვალენსიის მთავრობას შეთანხმება აქვს კოპას ორგანიზატორ კომპანია AC Management-თან. სამშაბათს, შვეიცარიელი მილიარდერი **ერნესტო ბერტარელი**, რომელიც კომპანია Alinghi-ის მფლობელი (AC Management სწორედ ამ კომპანიის სტრუქტურის ნაწილია) გახლავთ, ესპანეთის პრემიერ-მინისტრ **ხოსე ლუის საპატეროს** შეხვდა. საუბრის დროს, ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ 2009 წელს ვალენსიაში კოპა ამერიკის ჩატარების სურვილი გამოთქვა. საპატერო მზადაა შეასრულოს AC Management-ის პირობები და თავის თავზე აიღოს 120 მილიონი დოლარის ოდენობის ხარჯის დაფარვა.

## პიენაარი ევერტონელი გახდა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ნახევარმცველი **სტივენ პიენაარი** ოფიციალურად გახდა "ევერტონის" ფეხბურთელი. "აიაქსის" ყოფილი მოთამაშე ინგლისში დორტმუნდის "ბორუსიიდან" გადავიდა. გასულ სეზონში, პიენაარმა ბუნდესლიგაში 25 მატჩი ჩაატარა, მაგრამ ვერცერთი გოლი ვერ გაიტანა.

სამხრეთაფრიკელი უკვე ახალ გუნდში იმყოფება და ლოს ანჯელესში საწვრთნელ შეკრებას გადის.

*"წარუმატებელი გასული სეზონის შემდეგ, მოხარული ვარ, რომ ახალ გუნდში აღმოვჩნდი. შევეცდები, ინგლისში ძველი ფორმა დავიბრუნო და "ევერტონს" წარმატების მიღწევაში დავეხმარო"*, - განაცხადა პიენაარმა.

## ვერონმა ამერიკა იუარა

ორი დღის წინათ, გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის MLS-ის ბინადარმა "დი სი იუნაიტედმა" თავის რიგებში მიიწვია არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი **ხუან სებასტიან ვერონი**. ამერიკულმა მხარემ "ესტუდიანტესის" ფეხბურთელს 15 მილიონი დოლარი შესთავაზა, მაგრამ ვერონმა ამერიკაში გადაბარგება არ ისურვა, თუმცა ისიც განაცხადა, რომ დეკემბერში ამ ტრანსფერის შესახებ სერიოზულად დაფიქრდება.

## MLS არც პიპოს უნდა

ვერონის მსგავსად, ამერიკაში დაპატიჟეს "მილანის" ვეტერანი ფორვარდი **ფილიპო ინძაგი**. მას წინადადებით "ნიუ იორკ რედ ბულმა" მიმართა. მაგრამ, პიპომ ვერონს მიბაძა და მანაც იუარა კარიერის ოკეანის გაღმა გაგრძელება.

*"კარიერას "მილანში" დავასრულებ. რა თქმა უნდა, "რედ ბულის" წინადადება საჩვიანია, ნიუ იორკიც არაჩვეულებრივი ქალაქია, სადაც ბევრი იტალიელი ცხოვრობს და იქაური ჩემპიონატის დონეც პროგრესირებს. მაგრამ მე ჩემი არჩევანი უკვე გავაკეთე და "მილანში" იქამდე დავრჩები, სანამ ბუცების კედელზე ჩამოკიდებას არ გადავწყვეტ"*, - ამბობს ინძაგი.

## კლუივერტი უენსდიში გადავა

გუშინ ვიტყობინებოდით იმის შესახებ, რომ ინგლისის ქვედა დივიზიონის ბინადარმა "შეფილდ უენსდიმ" თავის რიგებში გადასვლა შესთავაზა ცნობილ ჰოლანდიელ ფორვარდ **პატრიკ კლუივერტს**.

ფეხბურთელი ამ წინადადებას გამოეხმაურა და ინგლისში გადასვლის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა შარშანდელი სეზონი "ეინდჰოვენში" გაატარა, სადაც მას აღარ შესთავაზეს კონტრაქტის გაგრძელება.

## რეკობა კატარში მიიწვიეს

ურუგვაელი თავდამსხმელი **ალვარო რეკობა** უკვე დიდი ხანია ველარ ხვდება "ინტერის" ძირითად შემადგენლობაში. გარდა ამისა, ფეხბურთელს ტრავმებიც ხშირად აწუხებს. რეკობას არაერთხელ განუცხადებია, რომ კლუბის შეცვლა სურს და ახლა მას სერიოზული წინადადება აქვს კატარის კლუბ "ალ-სადიდან". თუ რეკობა ამ გუნდში გადავა, ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს მიიღებს.

შესაძლოა, ამ ტრანსფერის განხორციელებაში გადამწყვეტი სიტყვა თქვას იმ გარემოებამ, რომ "ალ-სადს" სათავეში ურუგვაელი მწვრთნელი **ხორხე ფოსატი** უდგას.

თუმცა თავად ფეხბურთელს კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტი ურჩევნია. აი რა განაცხადა მან Calciomercato-სთვის მიცემულ ინტერვიუში: *"მართალია, "ალ-სადი" აქტიურად მეპატიჟება, მაგრამ რატომღაც ეჭვი არ მეპარება, რომ სულ მალე ურუგვაიში დავბრუნდები. ვოცნებობ, მშობლიურ "ნასიონალში" გავაგრძელო კარიერა. არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, "დანუბიოში" მომიწიოს თამაში"*.



ჩიპრიან მარიკა

შტუტგარტი

# არის ახალი ფორვარდი: ჩიპრიან მარიკა!

### შვაბებმა შახტარს რუმინელის სანაცვლოდ 8 მილიონი გადაუხადეს. ის გომესის მეწყვილე იქნება, რომელმაც კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა...

"შტუტგარტმა" **მარიო გომესის** გარშემო ატეხილ დავას და სპეკულაციებს ბოლოს მოუღო – გერმანიის ჩემპიონმა თავის გოლეადორს კონტრაქტი 2012 წლამდე გაუგრძელა. ეს ინფორმაცია პრესას VFB-ს გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** გუშინწინ, გუნდის წევრთა კრებაზე გაანდო. როგორც იცით, გომესს ტურინის „იუვენტუსი" ეპატიჟებოდა და მზად იყო, "სუპერმარიოს" სანაცვლოდ დიდი თანხა (20 მილიონი ევრო) გადაეხადა, მაგრამ „შტუტგარტის" ხელმძღვანელებმა მისი გაყიდვა სასტიკად იუარეს.

*„გიჟი ნამდვილად არ ვარ! ეს შესანიშნავი გუნდია, რომლის დაშლაც დაუშვებელი და წარმოუდგენელია,"* - განუცხადა ჰელდტმა 1500 წევრს, - *„კონტრაქტის გაგრძელებით მარიომ ყველას დაანახა, რომ აქ თავს ბედნიერად გრძნობს და რომ გუნდის დატოვება არ უნდა. არა მხოლოდ „იუვენტუსი", მას არაერთი გრანდი ეპატიჟებოდა, მაგრამ ყველა უარით გაისტუმრა და ჩვენთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის სულით შვაბია და მხოლოდ „შტუტგარტზე" ფიქრობს. მიხარია, რომ გომესმა თავისი მომავალი ჩვენს გუნდს დაუკავშირა."*

შეგახსენებთ, რომ გომესი „შტუტგარტში" პირველად 2001 წელს, 16 წლისა გამოჩნდა, მაგრამ სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება მხოლოდ გასული სეზონის დასაწყისში შეძლო - მანამდე მუდმივად სკამს ახეხინებდნენ. გუნდის ამჟამინდელმა თავკაცმა **არმინ ფეემ**, რომელმაც შარშან **ჯოვანი ტრაპატონი** შეცვალა, გომესს თავის გამოჩენის შანსი მისცა, ენდო და მის გამო გუნდიდან **იონ დალ ტომასონი** გაუშვა - ფორვარდი, რომელსაც თავის მხრივ ტრაპი ენდობოდა ბრმად. ამ ცვლილებამ გაამართლა – გომესმა გასულ სეზონში 25 შეხვედრაში 14 გოლის გატანა შეძლო და შვაბური კლუბის ჩემპიონობაში ლომის წვლილი მიუძღვის. ამასთან, მარიოს წელს გერმანიის ნაკრებშიც ჰქონდა შესანიშნავი დებიუტი (შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში, 3:1 გერმანიის სასარგებლოდ) და ბუნდესგუნდში უკვე სამი მატჩი აქვს ჩატარებული.

ამრიგად, ესპანური წარმოშობის გომესი ახლა წინა ხაზში მეწყვილეს ელის. ჰელდტმა კრებაზე ისიც განაცხადა, რომ თითქმის გადაწყვეტილი იყო ფორვარდ **ჩიპრიან მარიკას** ტრანსფერი. ხოლო გუშინ, დონეცკის "შახტარის" 21 წლის რუმინელი თავდამსხმელის "შტუტგარტში" გადასვლა ოფიციალურად დადასტურდა. შვაბური კლუბის სპორტული დირექტორი **იოხენ შნაიდერი** კვირის შემდეგ უკრაინაში გახლდათ, სადაც დონეცკური კლუბის შეფებთან მოლაპარაკებებს მართავდა. მხარეებმა კონსენსუსს სამშაბათს მიაღწიეს. გუშინ კი, მარიკამ გერმანიის მოქმედ ჩემპიონთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი - VFB-ში ის 20 ნომრიანი მაისურით ითამაშებს. რუმინელის წლიური ანაზღაურება 2 მილიონი ევრო იქნება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, "შტუტგარტმა" "შახტარს" 8 მილიონი ევრო გადაუხადა და ამრიგად, 21 წლის ნიჭიერი ფორვარდი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 15 მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი, შვაბენლანდური კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდა.

ცნობილია, რომ მარიკას შეძენა პრემიერლიგაში დაბრუნებულ "დერბი ქაუნთისა" და "მანჩესტერ სიტის" სურდათ. გაირკვა ისიც, რომ ეს გუნდები ფეხბურთელს "შტუტგარტზე" გაცილებით მაღალ ხელფასს სთავაზობდნენ. *"ფულზე უარი ვთქვი, რადგან ჩემთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაში საუკეთესო ანაზღაურებაა,"* - განუცხადა მარიკამ ჩვენს გერმანელ კოლეგებს კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

*"ძალიან სწრაფი და დინამიური თავდამსხმელია. მარიკა სწორედ ის მოთამაშეა, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა. თანაც უნივერსალია და თავდასხმის გარდა, ნახევარდაცვაშიც შეუძლია ასპარეზობა,"* - ასე ახასიათებს "შტუტგარტის" დამრიგებელი ფეე 1.82 მეტრი სიმაღლის ფორვარდს, რომელსაც სამშობლოში "სამურაის" უწოდებენ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ გუნდის კრებაზე „შტუტგარტის" პრეზიდენტად, როგორც მოსალოდნელი იყო, წევრებმა ისევ **ერვინ შტაუდტი** აირჩიეს, კაცი, რომელიც VFB-ს 2003 წლიდან უდგას სათავეში. შტაუდტმა 1084 შესაძლო ხმიდან 1063 მიიღო და კლუბის პრეზიდენტი 2011 წლამდე გახდა.

**გოტფრიდ ლენცი**

გაჭიანურებული ტრანსფერი

# ფიფამ თქვა, მე რა შუაში ვარო

### იუნაიტედმა ტევესის ალტერნატივად ნიკოლა ანელკა დაასახელა

როგორც ცნობილი იყო, არგენტინელი **კარლოს ტევესის** "ვესტ ჰემიდან" "მანჩესტერ იუნაიტედში" ტრანსფერის საკითხი ფიფას უნდა გაერჩია. მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ არ ისურვა ამ საქმეში ჩარევა და კლუბებს ურჩია - დავა ლოზანაში, სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაარჩიეთო.

*"ფიფა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასა და პრემიერლიგას ურჩევს სასამართლოს მიმართონ. ფიფას იურისტები თვლიან, რომ სასამართლოში წასვლა ორივე მხარის ინტერესებს გაითვალისწინებს. ეს არის კონფლიქტის მოგვარების ყველაზე ხელსაყრელი და უსწრაფესი გზა"*, - აცხადებს ფიფას პრესატაშე **ანდრეას ჰერენი**.

ამასობაში, ბრიტანული პრესა წერს, რომ თუ ინგლისის ჩემპიონმა მაინც ვერ შეძლო კარლოს ტევესის შეძენა, მაშინ მანჩესტერელები "ბოლტონიდან" ფრანგი **ნიკოლა ანელკას** გადაბირებას შეეცდებიან.

"ბოლტონი" მზადაა დათმოს თავისი საუკეთესო ფორვარდი, თუ მის სანაცვლოდ პოტენციური მყიდველი 15 მილიონ ევროს გადაიხდის.



ნიკოლა ანელკა

ფეიენოორდი

# ჯიო კაპიტანი იქნება

### გაძლიერებულმა როტერდამელებმა ოთხი მატჩში 47 გოლი გაიტანეს

მომავალ სეზონში როტერდამის "ფეიენოორდის" ახალი კაპიტანი "ბარსელონიდან" ჰოლანდიაში დაბრუნებული **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** იქნება.

*"როგორც კი ვან ბრონკჰორსტი ჩვენთან გადმოვიდა, იმ დღიდან გადავწყვიტე, რომ ის "ფეიენოორდის" ახალი კაპიტანი იქნებოდა"*, - განაცხადა როტერდამული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ბერტ ვან მაარვიკმა**.

წინა პარასკევს, ვან ბრონკჰორსტი პირველად გამოჩნდა "ფეიენოორდის" შემადგენლობაში. მან ერთ-ერთი სამოყვარულო გუნდის წინააღმდეგ ამხანაგური მატჩი ითამაშა. ის შეხვედრა როტერდამელებმა 9:0 მოიგეს. სხვათა შორის, "ფეიენოორდმა" უკვე ოთხი საკონტროლო მატჩი ჩაატარა, სულ 47 (!) გოლი გაიტანა და საკუთარ კარში არცერთი ბურთი არ მიუღია.

გუნდის მეორე კაპიტანი **კევინ ჰოფლანდი** იქნება, მესამე - **ტეო ლუციუსი**.

ახალ სეზონში როტერდამელებს სერიოზული მიზნები აქვთ. როგორც იცით, ვან ბრონკჰორსტის გარდა, "ფეიენოორდმა" "ბაიერნიდან" ფორვარდი **როი მაკაი** შეიძინა. შარშან, ამ გუნდმა აშკარად ჩააგდო სეზონი. ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის საგზურებს ვინ ჩივის, "ფეიენოორდმა" ინტერტოტოს თასზე მოხვედრაც კი ვერ შეძლო.

კოპა ამერიკას შემდეგ

# მათ კოპა აღმოაჩინეს

## ვენესუელაში თავიანთი ნიჭი გამოავლინეს ნერი კასტილიომ და უმბერტო სუასომ



კასტილიოს გოლი ბრაზილიის კარში

კოპა ამერიკის დროს, ვენესუელიას მოედნები ვარსკვლავების ნაკლებობას არ განიცდიდა. მაგრამ თუ **რიკელმესგან, მესისა** ან **რობინიოსგან** კარგ თამაშსს ისედაც ელოდნენ, ორი ფეხბურთელი, რომლებიც მანამდე ჩრდილში იმყოფებოდნენ, საკმაოდ მოულოდნელად აღმოჩნდნენ პირველ როლებზე. ტურნირს თავიანთი კვალი დაამჩნიეს პერუელმა **ხუან კარლოს მარინიომ,** ურუგვაელმა **კრისტიან როდრიგესმა**, პარაგვაელმა **სალვადორ კაბანიასმა**, ეკვადორელმა **კრისტიან ბენიტესმა,** მაგრამ იმ მოთამაშეებიდან, რომლებსაც შეიძლება ტურნირის აღმოჩენა ვუწოდოთ, ორის ამორჩევა გადავწყვიტეთ.

### ნერი კასტილიო (მექსიკა)

*23 წლის, თავდამსხმელი*

ამ ფეხბურთელის ბედი მეტად საინტერესოდ მოეწყო. დაიბადა და იზრდებოდა ურუგვაიში და როგორც ჩანს, ძალიან სწრაფადაც პროგრესირებდა, რადგან უკვე 15 წლის ასაკში "დანუბიოს" ძირითად გუნდში თამაშობდა. კიდევ ერთი წლის შემდეგ, მას "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშის შანსი მიეცა, მაგრამ სამუშაოს ვიზის გაფორმებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ბარიერების გამო, ნისლიან ალბიონზე კასტილიოს ვოიაჟი აღარ შედგა. "ოლიმპიაკოსში" გადასვლა გაცილებით იოლი იყო და ამიტომაც, ის ბერძნული კლუბის მიწვევას დათანხმდა. მოგვიანებით, "ოლიმპიაკოსთან" ერთად შვიდი საჩემპიონო ტიტული მოიპოვა.

2000 წელს, კასტილიო გაუგებარი მიზეზების გამო, 17-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ურუგვაის იუნიორთა ნაკრების შემადგენლობიდან ამოაგდეს. ორი წლის შემდეგ, თავად თქვა უარი მექსიკის ნაკრებში თამაშზე და თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ გასული წლის ნოემბერში შეცვალა. მანამდე კი, **ოტო რეჰაგელი** კასტილიოსთვის საბერძნეთის მოქალაქეობის მინიჭებას ითხოვდა, რათა მას ევრო 2004-ში მიეღო მონაწილეობა. ყველაფერი ამისთვის, ნერის მკაცრად აკრიტიკებდა მექსიკური პრესა და ამ ზეწოლას ფეხბურთელი ამა წლის 2 ივნისამდე გრძნობდა, როცა კასტილიოს დებიუტი შედგა მექსიკის ნაკრებში.

როგორც თავად მექსიკელი აცხადებს, ის კონკაკაფის ოქროს თასზე (ეს ტურნირი წინ უძღოდა კოპა ამერიკას) იმის გამო ვერ გაიხსნა, რომ მინდორი იყო ცუდ მდგომარეობაში. ევროპაში მას არ მოსწონს ბალახის ზედმეტი სიმაღლე, ვენესუელაში კი, გაზონები ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მას აწყობდა. კასტილიოს გოლი ბრაზილიის კარში (არადა, იმ მატჩში არავინ ელოდა ნერის ძირითადში გამოჩენას), როცა მან მეურვე მცველს "სომბრერო" წამოაცვა თავზე და შემდეგ ბალახზე დაუშვებლად შეაგდო ბურთი **დონის** კარში, ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო გოლად აღიარეს. შემდეგ მან ეკვადორთან მატჩში გამოიჩინა თავი, მეოთხედფინალში კი, დუბლი შეასრულა საცოდავი პარაგვაის წინააღმდეგ. არგენტინასთან ნახევარფინალში კასტილიო მოურჩენელი ტრავმით გავიდა მოედანზე, ასე რომ, პრეტენზიები მისი მისამართით გაუმართლებელი იქნებოდა.

აი რას ამბობს კასტილიოს შესახებ ლეგენდარული მექსიკელი მეკარე **ხორხე კამპოსი**, რომელიც ამჟამად TV Azteca-ს ტელეარხზე კომენტატორად მუშაობს: *"კასტილიო იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც მატჩის დროს ორი-სამი მომენტი თუ შეუქმენი, ერთ გოლს აუცილებლად გაიტანენ"*. 23 წლის ფორვარდის ერთადერთი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ხანდახან, ის ძალიან დიდხანს ფიქრობს იმაზე, თავად დაარტყას კარში თუ პარტნიორს გაუკეთოს პასი. თუმცა ეს ნაკლი არ დააბრკოლებთ "ჩელსისა" და "ვალენსიას", რომლებმაც მექსიკის ნაკრების 21-ე ნომრის შეძენა მოისურვეს. ამ ორი კლუბიდან ერთ-ერთში კასტილიოს გადასვლა გარდაუვალი ჩანს.

### უმბერტო სუასო (ჩილე)

*27 წლის, თავდამსხმელი*

სუასო ტიპურ სამხრეთამერიკულ ღარიბ კვარტალში დაიბადა, სადაც ექვს წლამდე დასდევდა ბურთს. იქამდე, სანამ მამამ ადგილობრივ კლუბ "ტორინო სან ანტონიოს" რიგებში არ შეიყვანა. 16 წლის ასაკში მიწვევა მიიღო "უნივერსიდად კატოლიკიდან", მაგრამ ამ გუნდის რიგებში თამაში მაინც არ ეღირსა. 2000-დან 2005 წლამდე ჩილეს მეორეხარისხოვან კლუბებში მოგზაურობდა (ასეთი ხუთი გამოიცვალა) და ასე გაგრძელდებოდა, "კოლო კოლოში" რომ არ ამოეყო თავი.



სუასო ჩილეს ახალი ლიდერია

2006 წლის აპერტურასა და კლაუსურაში, სუასომ ჯამში 33 გოლი გაიტანა და ამასთან, სამხრეთამერიკული თასის ბომბარდირთა დავაშიც გაიმარჯვა. 2007 წლის აპერტურაში კვლავ გაიბრწყინა (18 გოლი), ხოლო 2006-07 წლების სეზონის მიხედვით, პლანეტის მეორე ბომბარდირი გახდა ჰოლანდიელი **კლაას-იან ჰუნტელაარის** შემდეგ.

კოპა ამერიკამდე ცოტა ხნით ადრე, "კოლოს კოლოს" ყოფილი ფორვარდისთვის ბრძოლა მექსიკის "მონტერეიმ" მოიგო (მექსიკაში არა მარტო სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, იქ საკმაოდ მაღალ ხელფასებსაც იხდიან), რომელმაც უამრავ ევროპულ კლუბს დაასწრო, მათ შორის მილანის "ინტერსაც". კოპაზე სუასო ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო ჩილეს ნაკრებში. მისი სლალომური გარღვევები და უძლიერესი დარტყმები მუდმივად ხიფათს ქმნიდა მეტოქის კართან. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ჩილეს ნაკრების ყველა დროის ბომბარდირი **ივან სამორანო** აღფრთოვანებას ვერ მალავდა სუასოს მოქმედებით.

ჩუპეტეს მთავარ და შეიძლება ერთადერთ მინუსად შეიძლება მისი დაბალი სიმაღლე (172 სმ) ჩაითვალოს, რაც მას უძლურს ხდის საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაკიდების დროს. მაგალითად, მარტში, შვედეთის გიოტებორგში ჩილესა და ბრაზილიის ამხანაგური მატჩის დროს, ის საერთოდ ამოვარდა თამაშიდან. სუასო იქამდეც კი მივიდა, რომ პარტნიორებს სთხოვა - ბურთი მაღლა არ აწიოთო. და როცა თანაგუნდელებმა მისი რჩევა გაითვალისწინეს, ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

შესაძლოა, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სუასო ჩილეს ნაკრების კაპიტნად ვიხილოთ, ვინაიდან ექს-კაპიტანმა **ხორხე ვალდივიამ** თავად მოისპო ამგვარი პერსპექტივა. მან და კიდევ ხუთმა ჩილელმა (**ვარგასი, კონტრერასი, ტელო, ნავია** და **ორმენიო**) "აცტეკებთან" მატჩის შემდეგ, მეოთხედფინალში გასვლის აღნიშვნა გადაწყვიტეს და სასტუმროში დებოში მოაწყვეს: ბარში დანებით დაჭრეს სავარძლები, აქტიურად ეარშიყებოდნენ მიმტან მანდილოსნებს და ბოლოს, ორი სათვალთვალო ვიდეოკამერა დაამსხვრიეს. ამისთვის, ჩილეს ფეხბურთის ფედერაციამ დებოშირები 20 (!) საერთაშორისო მატჩით დასაჯა. ეს დისკვალიფიკაცია მათ ავტომატურად უსპობს უახლოესი 2 წლის მანძილზე ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს. ხოლო ამ დროის განმავლობაში, სუასოს გარდა ჩილეს ნაკრებში სხვა ფეხბურთელის გალიდერების ნაკლები პერსპექტივა ჩანს.



ხუან რომან რიკელმე

ატლეტიკო

# რატომ დაივიწყეს რიკელმე?

## სიმაო საბროსამ ენრიკე სერესოს კოლოსალური ხელფასი მოთხოვა

**დიეგო ფორლანის** "ატლეტიკოში" გადაბარგების შემდეგ ყველას ეგონა, რომ მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა შემდეგ საქმედ **ხუან რომან რიკელმეს** ტრანსფერს გაიხდიდა... თუმცა დროთა განმავლობაში ვრწმუნდებით, რომ არგენტინელი "როხიბლანკოსთვის" პრიორიტეტული ფეხბურთელი სულაც არ არის. დედაქალაქური გუნდის მმართველები მიიჩნევენ, რომ პირველ რიგში განაპირა ნახევარმცველების შეძენაზე უნდა იზრუნონ. შემდეგ კი **მარტინ პეტროვის** მომავალს მოჰფინონ ნათელი. ბულგარელი ლეგიონერი ინგლისური კლუბების წინადადებებს სწავლობს და პრემიერლიგაში გადასაბარგებლად ემზადება. **ერნიკე სერესოს** ამ ეტაპზე რიკელმეს ტრანსფერზე მეტად სწორედ ეს საკითხები აღელვებს. სამხრეთამერიკელი ვარსკვლავის მენეჯერის თქმით, მისი კლიენტი მადრიდელთა ამგვარი დამოკიდებულებით იმედგაცრუებულია, თუმცა ულტიმატუმის წამოყენებას არ აპირებს. რომი მოვლენათა განვითარებას მშვიდად დააკვირდება...

ამასობაში, **სიმაო საბროსას** ტრანსფერთან დაკავშირებული მოლაპარაკება მკვდარი წერტილიდან დაიძრა. რამდენიმე დღის წინათ გამცნეთ, რომ სენიორ სერესო პორტუგალიელის სანაცვლოდ 15 მილიონი ევროს გადახდისა და დამატებით **კოშტინიას** "ბენფიკისთვის" ჩუქების მზადყოფნას გამოთქვამდა. ლისაბონელებმა მადრიდელი კოლეგები მოსალაპარაკებლად პორტუგალიის დედაქალაქში დაპატიჟეს. პრეზიდენტის ემისრები, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ, მაგრამ შინ არცთუ სასიხარულო ინფორმაციით დაბრუნდნენ. "ბენფიკა" მზადაა სერესოს ბოლო წინადადება მიიღოს და სიმაო "როხიბლანკოს" დაუთმოს. თითქოს პრობლემა მოგვარებულია, მაგრამ დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ. სიტუაცია ახლა უკვე თავად ფეხბურთელმა გაართულა. სიმაო საბროსამ "ატლეტიკოს" ხელისუფლებას შეუთვალა, "ვისენტე კალდერონზე" მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ თვეში 420 ათას ევროს გადამიხდითო. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ "როხიბლანკოსთვის" ეს თანხა მეტისმეტად ბევრია. წელიწადში ხუთ მილიონ ევროს მადრიდული კოლექტივის არც ერთი ფეხბურთელი არ იღებს.

ბარსელონა

# ანრის, ეტოოსა და რონალდინიოს გოლების წვიმა

## თუ რიიკაარდის ახალ სქემაში დეკუს ადგილი არ მოენახება, პორტუგალიელი მილანში წავა

**ფრანკ რიიკაარდმა** შოტლანდიური შეკრების მესამე დღეს ჟურნალისტებს საწვრთნელი ბაზის კარი ფართოდ გაუღო. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მედიელებს ნება დართო "ბარსელონის" ორმხრივი სპარინგმატჩისთვის თვალი ედევნებინათ. კატალონიური გრანდის სათადარიგო შემადგენლობა ვარსკვლავურ გუნდს დაუპირისპირდა. აღსანიშნავია, რომ **ტიერი ანრიმ, სამუელ ეტოომ** და **რონალდინიომ** ერთად ითამაშეს. გენიალური ტრიო შეუდარებელი იყო. მათი ძალისხმევით, "ბარსას" სათადარიგო გუნდმა გამანადგურებელი მარცხი იწვნია. ეტოომ ორი ბურთი შეაგდო, არნიმ სამჯერ გამოიჩინა თავი. რონალდინიომ კი პენალტი გამოიყენა.

ჟურნალისტებისთვის ჯერჯერობით უცნობია, მოხვდება თუ არა "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში **ლიონელ მესი**. ახალგაზრდა არგენტინელი კოპა ამერიკის შემდეგ შვებულებაში იმყოფება. მედიელებისა და გულშემატკივრების ცნობისმოყვარეობა არდადეგების დასრულების შემდეგ დაკმაყოფილდება. რიიკაარდი კითხვებს არ პასუხობს. ასე რომ, საუკეთესო გამოსავალი მცირე დროით მოცდაა. იმავე მატჩში პრესის წარმომადგენლებმა მოულოდნელი სიახლე იხილეს. **დეკუ** ძირითადში ვერ მოხვდა...

ეს ამბავი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ კატალონიაში ჭორების დიდი ტალღა აგორებულიყო. "დიარიო სპორტის" ინფორმაციით, პორტუგალიელ ვარსკვლავს "მილანმა" დაადგა თვალი. დეკუს მენეჯერს უთქვამს, თუ რიიკაარდი ჩემს კლიენტს სათადარიგოთა სკამისთვის გაიმეტებს, არ დავაყოვნებთ და "როსონერის" წინადადებას სასწრაფო წესით შევისწავლითო. არაოფიციალური ცნობით, **ადრიანო გალიანი** კატალონიელ კოლეგებს პორტუგალიელის სანაცვლოდ 23 მილიონ ევროს სთავაზობს.

სარაგოსა

# ბილბაოდან ლა რომარედაზე

"სარაგოსის" დირექტორები მუხლჩაუხრელ მუშაობას განაგრძობენ. არაგონელები მართლაც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მომავალი სეზონის წინ შემადგენლობა შეძლებისდაგვარად გააძლიერონ. **მათუსალემის, აიალას, ოლივეირასა და გაბის** გადაბირების შემდეგ "სარაგოსის" პრესსამსახურმა კიდევ ერთი გაჩარხული ტრანსფერის შესახებ გვამცნო. მომავალი სეზონიდან "ლა რომარედაზე" **დანი არანსუბია** იასპარეზებს. არაგონელებმა "ბილბაოს" მეკარე 9 მილიონ ევროდ ჩაიგდეს ხელში. ბასკი "სარაგოსაში" სამი წლის განმავლობაში ითამაშებს. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ არანსუბიას დასაწყისში **სესარ სანჩესთან** ბრძოლა გაუჭირდება და სათადარიგო გოლკიპერის სტატუსს იკმარებს. დროთა განმავლობაში კი ძირითად შემადგენლობასაც გაუშინაურდება. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თავად ფეხბურთელი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს: *"ბილბაოში" გატარებული წლების შემდეგ ჰაერის გამოცვლა მჭირდებოდა. "სარაგოსის" წინადადებამ ძალიან დამაინტერესა და ჩემი ყოფილი კლუბი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ორი წლით ადრე დავტოვე. ვიცი, სერიოზული კონკურენცია მელის. სესარი პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა, მაგრამ მე არაფრის მეშინია. მჯერა, შრომითა და თავდადებით ყველაფერს მივაღწევ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი

რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

## წაგებების დღე



ბესიკ ჯანგავაძე

ბუტაადიდან

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღე უიღბლო გამოდგა ორივე ქართული წყვილისთვის. საქა-რთველოც დამარცხდა და გეორ-გიაც. გოგონებმა მეგობარ ბრაზილიელებთან **მარია-კლარასთან** და **კაროლინასთან** წააგეს 1:2 (17:21, 21:16, 13:15), ვაჟებმა კი ყველასათვის მოულოდნელად სრულიად უცნობ შვეიცარიულ წყვილთან **გაბათულერთან** და **ვენგერთან** განიცადეს მარცხი - 14:21, 12:21. მასპინძლები 48 გუნდში 45-ე ნომრად არიან განთესილები. ამ მარცხით, ორივე წყვილმა საგრძნობლად გაირთულა მდგომარეობა. ორივეს შემდეგ ეტაპზე გასვლის მცირე შანსები დარჩა.

კვლავ გაუშვა გამარჯვების ძალიან კარგი შანსი ხელიდან საქა-რთველომ. პირველი სეტის დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. წინ გასვლას ვერცერთი გუნდი ახერხებდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ დასასრული არ მოახლოვდა და ჩვენმა გოგონებმა ტრადიციისამებრ არ აურიეს. მეორე სეტში ჩვენმა ფრენბურთელებმა უკვე აშკარად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე. მათ ხუთი ქულით დაწინაურება მოახერხეს და უკვე წინააღმდეგობაშეწყვეტილ მეტოქეს იოლად გაუსწორდნენ - 21:16.

მესამე სეტი საქა-რთველომ კატასტროფულად დაიწყო. ბრაზილიელები თავიდანვე ოთხი ქულით დაწინაურდნენ 4:0. მაგრამ ჩვენი გოგონები არ გატყდნენ და მალე ანგარიშის გათანაბრება შეძლეს 6:6. მაგრამ ისევ აურიეს და ბრაზილიელები ისევ 4 ქულით გაუშვეს წინ 13:9. თამაშის გადარჩენის შანსი თითქმის აღარ იყო. მარცხისაგან მხოლოდ სასწაული თუღა გვიხსნიდა. სასწაული არ მოხდა, მაგრამ საქა-რთველომ ერთი კიდევ გაიბრძოლა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა 13:14. მეტის მისაღწევად კი აღარც ძალა ეყო, არც ოსტატობა და არც იღბალი.

საქა: *"რა ვთქვა აღარ ვიცი. როდესმე ჩვენც ხომ უნდა გადმოგვხედოს ფორტუნამ. ამდენი უიღბლობა უკვე ქრონიკულ ავადმყოფობაში გადაგვეზარდა. რამე უნდა ვიღონოთ, ოღონდ რა, არ ვიცი"*

რთველო: *"ტაქტიკურად ცუდად არ გვითამაშია. დებ სალგადოებს არაერთხელ შევხვედრივართ. ვმეგობრობთ კიდეც. ხშირად ვუგებთ. ახლაც შეგვეძლო მათი დამარცხება, მაგრამ...."*

ამავე ჯგუფში ბერძნებმა **კარადასიოუმ** და **არვანითიმ** ავსტრიელი დები შვაიგერები დაამარცხეს 2:0 (21:18,21:12) და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. საქა-რთველომ ოცდამეთორმეტედფინალში გასასვლელად ავსტრიელებთან ერთი სეტიც არ უნდა დათმოს.

ქალებისგან განსხვავებით სრულიად უსუსურად გამოიყურებოდა გეორ-გია. მათ ფაქტობრივად უბრძოლველად დათმეს შეხვედრა უსახელო შვეიცარელებთან. ჩვენი ფრენბურთელების გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებული იყო ყველა, რომ ადგილობრივ მედიას არანაირი ინტერესი არ გამოუჩენია შეხვედრის მიმართ. ასევე ჩვეულებრივზე ბევრად მეტი სიხალვათე იყო ტრიბუნებზეც.

გეორ-გიას აბსოლუტურად არაფერი არ გამოსდიოდა. შესაბამისად, ყველაფერი გამოსდიოდა მეტოქეს. ბლოკზე და მიღებაზე თამაშში ბევრად უფრო უკეთ გამოიყურებოდნენ და არც ფიზიკურ სიძაბუნეს უჩიოდნენ. ერთი სიტყვით, შვეიცარიელებმა თამაში ერთი ამოსუნთქვით მოიგეს. ვის არ წაუგია,მაგრამ ერთი კი ცხადია, ჩვენი ფრენბურთელების დონის დუეტი ასეთ მოწინააღმდეგესთან შვიდი და ცხრა ქულიანი სხვაობით არ უნდა აგებდეს.

მატჩის შემდეგ გეორ-გიას დანა კბილს არ უხსნიდა და მათ კომენტარიც არ გაუკეთებიათ. ამ ჯგუფში ფავორიტმა ამერიკულმა დუეტმა **როჯერსმა** და **დალჰაუზერმა** მეორე შეხვედრაც მოიგო ჰოლანდიელებთან (ბოერსმა-რონესი) - 2:1 (21:23, 21:15, 15:7).

ჩვენმა ფრენბურთელებმა ბოლო შეხვედრაში ამერიკელებს უნდა სძლიონ, ან უარეს შემთხვევაში ერთი სეტი მაინც უნდა მოუგონ.



საქა - ქრისტინა სანტანა

## საქართველო ფორტალეზაში

**საქა, იგივე ქრისტინა სანტანა ბრაზილიელთა უმრავლესობის მსგავსად, უბრალო ოჯახში გაიზარდა. სამხრეთ ამერიკის ამ ეგზოტიკური ქვეყნის შვილებს ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან უწევთ არსებობისთვის ბრძოლა. ბევრი ვერ უძლებს ცხოვრების უმკაცრეს წესებს, საკუთარი ადგილის მოძებნა კი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით, ბრძოლითა და უამრავი სირთულის გადალახვის ფასად ხდება.**

- ჩემი მშობლები უბრალო, მშრომელი ხალხია. ოჯახში ექვსი და-ძმა ვართ. გოგონები ოთხნი ვართ, ძმა კი ორი მყავს. რომ ვთქვა, გვილხინსო არ იქნება სწორი, მაგრამ არასდროს ვწუწუნებ.

**- თქვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მარკეტინგს სწავლობდით. მიხედავად იმისა, რომ საკმარისი განათლება გაქვთ, პლაჟბურთით რატომ ხართ დაკავებული?**

- ფრენბურთის თამაში სწავლამდე ბევრად უფრო ადრე დავიწყე. ამერიკაში სწორედ სპორტის მართვა მასწავლეს. ჩვენთან ქუჩაში ფრენბურთს ყველა თამაშობს. კალათბურთსაც თამაშობენ, მაგრამ მე ფრენბურთი უფრო მომწონდა, რადგან მიმაჩნია, რომ ის ქალისთვის უფრო შესაფერისია. უკონტაქტოა და არაა ჭიდაობა, ძიძგილაობა. ჩემი საბოლოო არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ იმ დროისთვის, ბრაზილიურმა ფრენბურთმა საერთაშორისო არენაზე დიდი წარმატებების მიღწევა დაიწყო და ქვეყანაში კიდევ უფრო პოპულარული გახდა, ასე შემოვრჩი ამ სპორტში.

**- იმედი გვაქვს, თქვენ მიერ მიღწეული წარმატებები ანალოგიურად იმოქმედებს საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე.**

- ყველანაირად ვცდილობთ, არაფერს ვიშურებთ. წარმატებების მიღწევა ჩვენზე მეტად ვის უნდა უნდოდეს. მოხარული ვიქნები, თუ ქართული ფრენბურთის განვითარებაში წვლილს შევიტანთ.

**- საქართველოს მოქალაქე ხართ. საინტერეოა, რა იცით ამ ქვეყნის შესახებ?**

- ძალიან ბევრი რამ. ვიცი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისია. ვიცი, ვინ არის პრეზიდენტი. საქართველოში არის ორი კონფლიქტური რეგიონი, რომელთაგან ერთ-ერთი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ვიცი ასევე 9 აპრილის მოვლენების შესახებაც. ძალიან მინდა, საქართველო ევროკავშირში მიიღონ. კიდევ კარგი, ბრაზილიური პასპორტებიც გვაქვს იმით დავდივართ. საკმარისია, ქართული პასპორტი გამოაჩინო და ეგრევე პრობლემები იქმნება. თუ შეზღუდვა იმიტომაა, რომ საქართველოში ეკონომიურად უჭირთ და საზღვარგარეთ დარჩენას ამჯობინებენ, მაშინ იგივე უნდა ქნან ბრაზილიელთა მიმართაც. ეკონომიკურად არც ჩვენთანაა დალხენილი ცხოვრება. არ მესმის.

**- საქართველოში როდის ჩამოხვალთ? დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის ნახვის შემდეგ გაათმაგებული ენერგიით იბრძოლებთ და წარმატებებსაც მიაღწევთ.**

- ბევრი მსმენია საქართველოს სილამაზის შესახებ, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან ახვლედიანისგან ვიცით, რომ შვეიცარიას ძალიან გავს. საქართველოში ალბათ გაისად გესტუმრებით. წლეულს არაფრით გამოვა. ძალიან დატვირთული სეზონი გვაქვს. თანაც იმ დროისთვის ალბათ უკვე გარკვეული იქნება პეკინის ლიცენზიის ამბავი.

**- ფრენბურთი რომ არა, რითი იქნებოდით დაკავებული ცხოვრებაში?**

- როგორ გითხრათ, როგორც იცით მარკეტინგული განათლება მაქვს და ალბათ ამ სფეროში ვიმუშავებდი. ისე კი მე და ჩემს მეწყვილე ანდრეზას გადაწყვეტილი გვაქვს, საფრენბურთო კარიერას რომ მოვრჩებით, ჩვენთან ფორტალეზაში ბარი გავხსნათ, რომელსაც საქა-რთველოს დავარქმევთ.

**- ფრენბურთი, მარკეტინგი, კიდევ რით ცხოვრობს ქრისტინა?**

- ძალიან მიყვარს კინო. მსურს რაც შეიძლება მეტი ენა ვისწავლო და და მთარგმნელობით საქმიანობას მივყო ხელი.

**- სპორტსმენი ქალები, მათ შორის ბრაზილიაშიც ხშირად გამოდიან ფოტომოდელის როლში. თუნდაც თქვენი კოლეგების ანა პაულასა და ლეილას მაგალითი რად ღირს. თქვენ რომ შემოგთავაზონ, როგორ მოიქცეოდით?**

- ბრაზილიაში არავის შემოუთავაზებია, მეც ჩემით არ მიცდია. ისე, საქართველოსთვის შემიძლია გავშიშვლდე, ოღონდ ამისთვის სპონსორია საჭირო. ანა პაულამ და ლეილამ იმ ფოტოებით თავიანთ სპონსორს გაუწიეს რეკლამა. თუ ჩვენც გამოგვიჩნდება სპონსორი, რომელიმე ქართული კომპანიის სახით, სიამოვნებით გავუკეთებთ რეკლამას.

**- თქვენი გაქართველების საბოლოო მიზანი პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაა. რამდენად რეალურია ამის მიღწევა?**

-ოლიმპიადაზე აუცილებლად უნდა ვითამაშოთ. მართალია, ცუდად დავიწყეთ, მაგრამ დაკარგული არაფერია. წინ კიდევ ბევრი ტურნირია. იმედი მაქვს, საკმარის ქულებს დავაგროვებთ და ოლიმპიადისთვის საქართველოს ჰიმნსაც ვისწავლით.

ავტორის ფოტო

---

თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი

## კარგი დასაწყისი ვარშავაში: ჩემპიონი და ოთხი პრიზიორი

ვარშავაში, ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინდელი დღე ჩვენი ნაკრებისთვის მეტად წარმატებული გამოდგა - თითო ოქრო-ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ჩემპიონი გუნდის ლიდერი **თორნიკე ხიდეშელი** (100) გახდა, **დავით მარსაგიშვილმა** (76) კი მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო. როგორც იქნა, გუშინ, გვიან ღამით გუშინწინ მოჭიდავე 85 კილოგრამი წონითი კატეგორიის საბოლოო შედეგებიც გავარკვიეთ, და გავიგეთ, რომ **გიორგი ჩიტაშვილსაც** ბრინჯაო მოუპოვებია. აქვე გუშინწინდელ მონაგარსაც შეგახსენებთ - **დავით ხუციშვილმა** (58) ვერცხლი მოიპოვა, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (50) - ბრინჯაო.

ამდენად, ჩვენი გუნდის საბოლოო მონაგარი 1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაოა. ეს შედეგი რაოდენობრივად აღემატება შარშანდელს და ღირსობრივადაც, ვინაიდან მაშინ 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო ვირგუნეთ.

თორნიკე ხიდეშელი კარგა ხანია, ამ გუნდის უცვლელი წევრია ამავე ტურნირის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორიცაა და ახლაც ერთ-ერთ უმთავრეს იმედად მიიჩნევდნენ. საბედნიეროდ, საბოლოოდ თავი არც შეურცხვენია, თუმცა მეორე წრეში ლიტველი მეტოქის ტრავმა რომ არა, ვინ იცის, რა მოხდებოდა... პირველ ბრძოლაში ბულგარელ **კუმან სტოიკოვს** ორივე პერიოდი წმინდად, ვადამდე მოუგო, მეორეში კი ლიტველ **იგორ ფიოდოროვთან** პირველი პერიოდი 2:3 დათმო. ამის შემდეგ მეტოქემ ბრძოლა ვერ გააგრძელა, ხიდეშელმა კი მომდევნო წრეში, დამატებითში დროში **ალან ცარიკაევი** დაამარცხა. სამივე პერიოდი ერთნაირი ანგარიშით - 1:0 დამთავრდა, თუმცა მესამე გადამწყვეტი ქართველმა მოიგო და ფინალში გავიდა. იქ გერმანელმა **ნიკ მატუჰინმა** ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ხიდეშელმა ძირითადშივე მოითავა საქმე და კარიერაში უდიდესი წარმატება იზეიმა.

ყაზბეგელი დავით მარსაგიშვილი უფროსებში საქართველოს წლევანდელ ვიცე-ჩემპიონ **გიორგი მარსაგიშვილის** უმცროსი ძმაა და წლეულს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე იყოჩაღა. იგი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი რუმინელ **მიორელ გიტას** ორივე პერიოდი ქულათა აშკარა უპირატესობით მოუგო. მეორეში მოლდოველ **დან მესინას** წმინდად ვერა, მაგრამ ორ პერიოდში დიდი სხვაობით აჯობა - 13:3. ნახევარფინალში ბულგარელი **პეტარ ზაგოროვიც** ასევე წმინდად გააბითურა - 13:0, მაგრამ ფინალში თურქ **იბრაჰიმ ბოლუკბასთან** ვერაფერს გახდა და ვერცხლს დასჯერდა.

**ავთანდილ ჯიოევმა** (46) პირველ წრეში მომავალ ჩემპიონს, რუს **ილიას ბეკბულატოვს** პირველი პერიოდი 3:3-ზე ბოლო ქულის დამსახურებით კი მოუგო, მაგრამ მომდევნო ორი წააგო და მოგვიანებით სანუგეშოში, გადაერთო. თავიდან იქაც გაიბრძოლა - ბულგარელ **ივაილო არნაუდოვს** დამატებითში სძლია, მაგრამ მერე აზერბაიჯანელ **ნიჯატ მურადოვთან** წააგო (იგი შარშანდელი ევროპირველობის ვიცე-ჩემპიონია, თუმცა ამჯერად უმედლოდ დარჩა) და 20 -კაციან წონაში მეშვიდეზე დარჩა.

**ვასილ მამულაშვილი** (54) ბრძოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა - ესპანელ **ანტონიო ვერასთან** და უნგრელ **პეტერ გიორგისთან** წმინდა გამარჯვების შემდეგ მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, მოლდოველ **მაქსიმ კოჩევთან** წააგო - ნაადრევად შეწყვიტა ბრძოლა (სავარაუდოდ, ტრავმის გამო). მერე ფინალს ვერც მოლდოველმა უწია და, შესაბამისად, ვერც მამულაშვილი ჩაერთო სანუგეშოში, მაგრამ ბადის ამ მხარეს მონაწილეთა სიმცირის გამო (დამამშვიდებელში ამათ ერთი წრით ნაკლები იჭიდავეს) ტექნიკური ქულების დამსახურებით, მეშვიდეზე მაინც გავიდა.

ჩემპიონატს **გიორგი მელქაძეც** (63) მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. მან ესტონელ **ვეიკო ვებერს** ძირითადში სუფთად აჯობა, ფრანგ **ნარეკ ჰარუთუნიანს** - ასევე ძირითადში, ოღონდ ქულებით, მაგრამ მერე გერმანელ **კრისტიან მაიერთან** დამატებითში დრამატულ ბრძოლაში წააგო და რაკი ნახევარფინალი ვერც იმან გადალახა, ტურნირიდანაც გავარდა.

დაბოლოს, ჩიტაშვილი, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში თურქი მუსტაფა ოზდემირი დასცა. მას საწყენად ის თუ დარჩება, რომ, შარშანდელის დარად, ბრინჯაოს ბარიერს ვერც წლეულს გადაახტა.

ამით „თავისუფალთა" ტურნირი უკვე დასრულდა. დღეს და ხვალ ჩემპიონატში გოგონები გამოვლენ, 28-29-ში კი „ანტიკოსები" იჭიდავებენ.

ირაკლი თავაძე

---

ჩოგბურთი

## მხოლოდ ჩიხლაძე დარჩა

ორშაბათსა და სამშაბათს იან ჰომერის სახელობის კორტებზე "კოკა-კოლას" თასის გათამაშების ძირითადი ტურნირის პირველი წრე გაიმართა. როგორც იცით, ამ ეტაპზე ხუთი ქართველი ასპარეზობდა: **გიორგი ხრიკაძე, რევაზ ოსაძე, გიორგი ჭანტურია, ლადო ჩიხლაძე და ნიკოლოზ ქურდაძე.**

სამწუხაროდ, პირველი ეტაპი მხოლოდ ლადო ჩიხლაძემ დაძლია, რომელმაც ურეიტინგო რუსი **იგორ რუდი** სამ სეტში დაამარცხა - 3:6, 6:1, 6:2.

წარმატებას ველოდით სხვა ქართველთაგან, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო პრობლემის დაძლევა. ყველაზე უკეთ მაინც რევაზ ოსაძემ ითამაშა, რომელიც რუს **მიხაილ ლივშიცთან** ორ სეტში 5:7 და 4:6 დამარცხდა. ბევრი იბრძოლა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ აღმოაჩნდა გიორგი ჭანტურიას, რომელიც მეექვსედ განთესილ ჩეხ **დანიელ ლუსტიგთან** 4:6, 2:6 დამარცხდა. გიორგი ხრიკაძე ბრიტანელ **როს კონოლის** ხვდებოდა, რომელიც რეიტინგით 1037-ეა, მაგრამ კონოლი უკეთ გაირჯა და ორ სეტში მოამთავრა საქმე - 6:3, 6:3.

ყველაზე რთული მეტოქე ნიკოლოზ ქურდაძეს ჰყავდა და შესაბამისად ნაკლები შანსი იყო, გასცდენოდა პირველ ეტაპს. ქართველი მეორე ნომრად განთესილ ფრანგ **კლემან მორელს** რაც შეეძლო ებრძოლა, სამწუხაროდ, ოსტატობამ თავისი ქნა და ფრანგმა, რომელიც რეიტინგში 525-ეა, ორ სეტში იმძლავრა - 6:2, 6:3.

მეორე წრეში ლადო ჩიხლაძის მეტოქე იქნება ირლანდიელი **პიტერ კლარკი**, რომელიც რეიტინგით 960-ეა და პირველ წრეში 1507-ე ნომერ ხორვატ **მიხაილ კარპოლს** მოუგო. შეგახსენებთ, ჩიხლაძე ტურნირზე მესამე ნომრად არის განთესილი და თუ რეალურ ძალთა შეფარდებაზე ვისაუბრებთ, ირლანდიელს დღეს უნდა მოუგოს. ერთია, რომ დღეს თამაში დღის სამ საათზე უნდა გაიმართოს და თუ გავითვალისწინებთ თბილისურ ხვატს, ჩოგბურთელებს ძალიან უნდა გაუჭირდეთ. იმედია, ქართველს ამინდი არ დაცდის.

პირველი წრე უმთავრესმა ფავორიტმა რუსმა **მიხაილ ელგინმაც** გადალახა - ლატვიელ **კარლის ლეინიეკსი** იოლად - 6:2, 6:1 დაამარცხა. მეორე წრეში ვერ ითამაშებს ორი განთესილი - მეოთხე ნომერი უკრაინელი **ვლადისლავ ბონდარენკო**, რომელსაც ჩეხმა **ირჟი კრკოსკამ** მოუგო - 4:6, 1:6; მერვე ნომერმა, ასევე უკრაინელმა **ივან ანიკანოვმა** კი ახალზელანდიელ **მეთ სიმპსონთან** წააგო ორ სეტში - 5:7, 3:6.

სამწუხაროდ, არც წყვილებში გამოგვივიდა რამე - სამი ქართული წყვილი გავიდა კორტზე და სამივე დამარცხდა: **ლაზარე კუხალაშვილმა** და ნიკოლოზ ქურდაძემ ყაზახურ წყვილთან ორ სეტში წააგეს - 2:6, 2:6; გიორგი ჭანტურიამ და **გიორგი ნავროზაშვილმა** ბელარუს **ალექსეი ბესონოვისა** და მოლდოველი **ანდრეი ჩუმაკის** დუეტთან დათმეს შეხვედრა - 7:6 (6), 3:6, 4:6; გიორგი ხრიკაძემ და რევაზ ოსაძემ კი ვერაფერი მოუხერხეს რუსებს - **ალექსეი ფილენკოვსა** და მიხაილ ლივშიცს - 4:6, 3:6.

ლადო ჩიხლაძე წყვილებში არ თამაშობს.

ზვიად შათირიშვილი

## კალათბურთი

ეროვნული ნაკრები. ვივატელის თასი

# ფაჩულიამ დანიაც გადათელა



**საქართველო – დანია 88:68**

26:25, 22:14, 18:19, 22:10

საქართველო: **ცინცაძე** (26 წთ, 12 ქ, 8 პ, 3 ჩ), **ა. ბოისა** (15 წთ, 4 ქ), **მ. მარკოიშვილი** (14 წთ, 4 ქ), **ბაბიაშვილი** (23 წთ, 10 ქ, 4 მ), **ფაჩულია** (34 წთ, 37 ქ, 9 მ), **გამყრელიძე** (28 წთ, 7 ქ), **უგრეხელიძე** (21 წთ, 1 ქ, 6 მ), **შერმადინი** (2 წთ, 2 ქ), **ლეჟავა** (21 წთ, 11 ქ, 2 მ), **ტულუში** (8 წთ), **გ. მარკოიშვილი** (7 წთ)

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, გუშინ დასრულდა "ვივატელის თასის" გათამაშება, სადაც საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა, მეორე ადგილი დაიკავა. ტურნირის დასკვნით დღეს, ჩვენი გუნდის მეტოქე იყო აუტსაიდერი დანია, რომელსაც ოცქულიანი სხვაობით მოვუგეთ. გუშინვე, მასპინძლებმა ათქულიანი სხვაობით სძლიეს მაკედონიელებს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ...

დღეს საქართველოს ნაკრები საფრანგეთისაკენ აიღებს გეზს, სადაც 2 აგვისტომდე შეკრებას გაივლის. 3 აგვისტოს კი გუნდი პორტუგალიის ქალაქ ელვაშში, კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს. ამას მოჰყვება მორიგი შეკრება საფრანგეთში, სადაც ინგლისს ორ საკონტროლო მატჩს ვეთამაშებით 9-10 აგვისტოს. მოსამზადებელი ეტაპი იქვე დასრულდება, საიდანაც ლუქსემბურგს მივაშურებთ და 20 აგვისტოს, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს განვაახლებთ.

საქართველო - დანიის მატჩი, გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. წინა მატჩებისაგან განსხვავებით, სასტარტო შემადგენლობაში არ იყო **ვახტანგ ნაცვლიშვილი**, რომელსაც მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს. მის ნაცვლად, მძიმე ფორვარდად გაისარჯა **ზვიად ბაბიაშვილი**. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მან და ნაკრების კიდევ ერთმა ახალწვეულმა **ბესიკ ლეჟავამ**, საკმაოდ კარგად ითამაშეს. წინა მატჩებისაგან განსხვავებით, მოედანზე გამოჩნდა ახალგაზრდა გიორგი შერმადინიც...

მეორე პერიოდში, საქართველოს ნაკრები ათქულიანი ფორით დაწინაურდა და ამის შემდეგ, დანიელებს დაწევის იოტისოდენა შანსიც კი არ მისცა. კვლავ ბრწყინვალე იყო **ზაზა ფაჩულია**, რომელმაც 37 ქულა მიითვალა. სამწუხაროდ, პირველ ტაიმში, ფეხი იტკინა **მანუჩარ მარკოიშვილმა**, რის გამოც, მწვრთნელებმა აღარ გარისკეს და მხოლოდ 14 წუთი ათამაშეს. ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო, მოედანზე რვა წუთზე მეტი ვერ დაყო **კოტე ტულუშმა**...

მატჩის შემდეგ, გავესაუბრეთ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე დავით უსტიაშვილსა და გუნდის ლიდერ ზაზა ფაჩულიას.

დავით უსტიაშვილი: - მიუხედავად იმისა, რომ პირველსავე მეოთხედში ვერ დავწინაურდით სოლიდური ანგარიშით, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მთელი ორმოცი წუთის განმავლობაში, დანიელებს ჩვენ ვკარნახობდით თამაშის პირობებს. კენ შილდსმა ყველას მისცა თამაშის საშუალება. მან მხოლოდ ნაცვლიშვილი დაასვენა. ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში ლეჟავა, რომელმაც სამი სამქულიანი ჩააგდო. პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, უფრო აკურატულად და აქტიურად გაისარჯა ზვიად ბაბიაშვილი. მანუჩარ მარკოიშვილმა კი თავიდანვე ფეხი იტკინა და გართულების თავიდან ასაცილებლად, მეორე ტაიმში დავასვენეთ.

საერთო ჯამში, ბულგარეთში საკმაოდ ნორმალური თამაში და შედეგი ვაჩვენეთ. როდესაც გუნდს შეუერთდებიან ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა და ტაირონ ელისი, უფრო ძლიერი, მობილური და მრავალფეროვანი ნაკრები გვეყოლება.

ზაზა ფაჩულია: - პირველ შეხვედრაში, რიგიანად დასვენება ვერ მოვახერხეთ და მეორე ტაიმში, ბულგარელებს ტემპში ვერ ავყევით. მეორე მატჩიდან კი, გუნდი ნელ-ნელა აუმჯობესებს თამაშის ხარისხს.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- ვაცნობიერებ, რომ გუნდის ლიდერად ვითვლები და არ მაქვს უფლება, ზედმეტი ჯარიმებით ნაკრები დავალალატო.

**- სამივე მატჩში, საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით ამთავრებ თამაშს...**

- ფაქტობრივად, მთელი ზაფხული ამ და სხვა კომპონენტებზე ვმუშაობდი. მიღწეულით არასოდეს ვკმაყოფილდები და მუდამ პროგრესისკენ ვისწრაფვი. საქართველოს ნაკრები ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტულია, მაგრამ ზაფხულში ნამუშევარი, კლუბშიც გამომადგება, სადაც საკმაოდ საინტერესო სეზონი მელის.

**- საქართველოს ნაკრებს წინ საკმაოდ მძიმე მატჩები აქვს...**

- იოლი გასეირნება მართლაც არ გველის. ისლანდიაში საკმაოდ მძიმე მატჩი გვექნება და ფინეთიც არ ჩამოვა თბილისში წაგებასთან წინასწარ შეგუებული. ტესტმატჩები ოფიციალური შეხვედრებისთვის საუკეთესოდ მომზადებისა და მთავარი მიზნის, ანუ ელიტაში ალზევებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

**კობა ხატისაშვილი**



ბურთით ბექა ჩიკვილაძე

# ისრაელს ნასაგები მოვუგეთ

კადეტთა ევროპის ჩემპიონატი

**საქართველო – ისრაელი 82:75**

25:24, 11:21, 18:19, 28:11

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 32 | 15 | 1 | 3 | 2 | 0 | 4 |
| მაღლაკელიძე | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ჩიკვილაძე | 28 | 21 | 6 | 1 | 2 | 1 | 4 |
| შენგელია | 36 | 24 | 11 | 1 | 2 | 0 | 6 |
| თავართქილაძე | 35 | 11 | 8 | 4 | 4 | 2 | 5 |
| ბოქოლიშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| იოსელიანი | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ჭოხონელიძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ელანიძე | 22 | 6 | 7 | 2 | 0 | 0 | 1 |
| დვალიშვილი | 31 | 4 | 13 | 0 | 1 | 5 | 1 |
| სულაბერიძე | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |

ესპანეთი-საფრანგეთი 65:46, იტალია-სერბეთი 66:86

**სერბეთი 4/0, ესპანეთი 4/0, საფრანგეთი 2/2, იტალია 2/2, საქართველო 1/3, ისრაელი 0/4**

საბერძნეთში მიმდინარე კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე, გუშინ სენსაციური გამარჯვება იზეიმეს ჩვენმა კალათბურთელებმა. გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ჭაბუკებისაგან არავინ ველოდით მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლასაც კი. თუმცა **მიხეილ კობეშავიძის** გუნდმა ესეც შეძლო და მეორე ეტაპზე ისტორიული გამარჯვებაც იზეიმა. ამასწინათ, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა, ჯგუფიდან გასვლა მოახერხა, რაც აქამდე უპრეცედენტო შემთხვევა იყო ჩვენი კალათბურთის ისტორიაში. თუმცა გუშინ, მათი რეკორდი კადეტებმა გააუმჯობესეს - მეორე ეტაპზე პირველი თამაში მოიგეს...

თუ რამხელა სხვაობაა ებრაულ და ქართულ კალათბურთს შორის, ამაზე ალბათ ლაპარაკიც ზედმეტია. შესაბამისად, ჩვენი გუნდისგან ველოდით ბრძოლას და უკეთეს შემთხვევაში, მოკრძალებული სხვაობით წაგებას. თუმცა კადეტებმა კიდევ ერთხელ გაგვაოცეს სასიამოვნოდ. ისრაელელებს მათ, ფაქტობრივად, წაგებული თამაში შემოუტრიალეს...

პირველი პერიოდი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მართალია, სამჯერ დავწინაურდით სამქულიანი უპირატესობით, მაგრამ მეოთხედი მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოვიგეთ. მეორე ათწუთეულში, ისრაელმა ცხრა ქულით გაგვასწრო, რაც ბოლო მეოთხედის წინ, ათქულიან ფორად აქცია. შესაბამისად, უკვე ხელი ჩავიქნიეთ, მაგრამ თურმე წინ სასწაული გველოდა...

დასკვნით პერიოდში, საქართველოს ნაკრებს ველარ იცნობდით. აშკარად წაგვივიდა სამქულიანები, რითაც ათქულიანი დეფიციტი ალმოვფხვერით. მატჩის დამთავრებამდე 3.44 წუთი რჩებოდა, როდესაც შეხვედრის სნაიპერმა **თორნიკე შენგელიამ**, პერიმეტრს მიღმიდან ჩააგდო და 72:70 დაგვაწინაურა. ამის შემდეგ, ჩვენს გუნდს, ბოლო წამამდე აღარ მიუცია მეტოქისთვის გადასწრების საშუალება და შვიდქულიანი სხვაობით იმარჯვა.

საბოლოოდ, შენგელია 24 ქულით, მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. 21 ქულა ჩააგდო **ბექა ჩიკვილაძემ**, ხოლო ებრაელთა რიგებში, ყველაზე მეტი, 17 ქულა დააგროვა **კოენმა**. ამას გარდა, შენგელიამ 11 მოხსნაც დააგროვა, რითაც მიმდინარე ტურნირზე, პირველი ქართული დუბლის ავტორი აღმოჩნდა...

დღეს, ჩვენი გუნდი მეორე ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს გამართავს, 20 საათზე, საფრანგეთს ეთამაშება.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი



# შავი ზღვის გარშემო

ბათუმში დაიწყო შავი ზღვის ქვეყნების საჭადრაკო ტურნირი - შეჯიბრება, რომელსაც საფუძველი XX საუკუნის ბოლოს ჩაეყარა. შავი ზღვის ქვეყნების ჩემპიონის ტიტულს ამჯერად 20 წლამდე ახალგაზრდები გაითამაშებენ, თუმცა, ტრადიციულად, საპრიზო ადგილები სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც გათამაშდება.

მოჭადრაკეთა საერთო რაოდენობა 226-ს აღწევს. ოთხი ტურის შემდეგ ლიდერობენ: 8 წლამდე გოგონათა და ვაჟთა შორის - **ალექსანდრე პანასენკო, ალექსანდრე ურდულაშვილი** და **რატი პერტია** - 4 ქულით; 3.5 ქულა აქვს **ელა სვანიძეს** და **თორნიკე იარაჯულს**. 10-წლამდელებში 4 ქულა აქვთ **ანა თედოშვილს, ნიკა ბერძენაძესა** და **გიორგი სომონიძეს**; 3.5 ქულა მოაგროვეს **მამუკა ანთაძემ** და **ირაკლი კელაპტრიშვილმა**. 12-წლიანთა შორის ოთხი ქულით **ნანი უნაფქოშვილი** ლიდერობს; 3.5 ქულა აქვთ **ლიკა კობეშავიძეს** და **საბინა იბრაგიმოვას** (აზერ.).

მთავარ ტურნირში, სადაც უფროსი ასაკის გოგონები და ვაჟები თამაშობენ ოთხი ქულა არავის აქვს, 3.5 კი ექვსმა მონაწილემ მოაგროვა - **გაიოზ ნიგალიძე, დავით ჯოჯუა, სალომე მელია, ლევან ბრეგაძე, ლუკა პაიჭაძე და გიორგი მარგველაშვილი** ლიდერობენ.

23 ივლისს გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ბათუმის მკვიდრის **ისიდორე გოგეშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ბლიცტურნირი. მასში რეიტინგით ათმა საუკეთესო მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა და 9-დან 7 ქულით **თორნიკე სანიკიძემ** იმარჯვა; 6.5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გიორგი მარგველაშვილმა და დავით ბენიძემ გაიყვეს.

ტურნირზე კულტურული ღონისძიებებიც არის დაგეგმილი და მონაწილეები უკვე ეწვივნენ ბათუმურ "დისნეი ლენდს", რომელსაც მშვენიერი ქართული სახელი - "ციცინათელა" ჰქვია. დახურვის ცერემონიალიც ალბათ შთამბეჭდავი უნდა გამოვიდლეს, იქამდე კი დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** უცხოელი მოჭადრაკეებისთვის ერთობლივი თამაშის სეანსს ჩაატარებს. ტურნირი შვეიცარული სისტემით, 7 ტურად მიმდინარეობს.

**ზვიად შათირიშვილი**

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, ვეტერანი კალათბურთელები და თანაგუნდელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი

**პეტრე გელბახიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სპორტული კინო

# ჯილდომ თბილისში ჩამოაღწია



2002 წლის 17 სექტემბერს, სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაციას ეცნობა, რომ საქართველოში მოქმედებდა ანალოგიური ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **ალექსანდრე ჟღენტი**) და იგი მზად იყო საერთაშორისო ფედერაციაში გასაწევრიანებლად. ერთი წლის შემდეგ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტიმა, პროფესორმა **ფრანკო ასკანიმ** ოფიციალური დასტური გამოაგზავნა. საქართველო მაშინ ამ ორგანიზაციის 77-ე წევრი იყო. დღეს კი ეს ფედერაცია თავის რიგებში უკვე 101 ქვეყანას აერთიანებს. იმავე წელს, მილანში, სპორტული კინოს საერთაშორისო ფესტივალზე რეჟისორ ალექსანდრე ჟღენტის დოკუმენტური ფილმი "პირველი ეროვნული" კონკურსგარეშე აჩვენეს ამიტომ, ბუნებრივია, პრიზს ვერ დაიმსახურებდა. მაგრამ 2003 წლის ფესტივალზე ამავე რეჟისორის მეორე ნაშრომი - "სტადიონი" წარადგინეს და სწორედ აქ მოხდა ფურორი - ჩვენმა ფილმმა პირველი ადგილი და სუპერპრიზი დაიმსახურა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ პრიზმა და თანმხლებმა დიპლომმა ასკანის ხელმოწერით მხოლოდ ამ დღეებში ჩამოაღწია თბილისში.

გუშინ, ეს ჯილდო და დიპლომი ავტორს საზეიმოდ გადასცა საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა **მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ**. პრეზიდიუმის გუშინდელი სხდომა მიეძლვნა სამ უნიშვნელოვანეს თარიღს - საქართველოს ეროვნული ნაკრების შექმნის, თბილისში ბასკების სტუმრობისა და "დინამოს" სტადიონის გახსნის 70 წლისთავს. პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა, რომ საქართველოს ფედერაციის წინადადებით 2002 წლიდან მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 25 მარტს აღინიშნება სპორტული კინოსა და ტელევიზიის დღე.

## კალათბურთი

ინტერვიუ კობი ბრაიანტთან

# ლებრონი ბოლო დროს ყველაფერს აგებს

22 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ამერიკის ნაკრები, რომელსაც ჯერ კიდევ ინერციით "ოცნების გუნდად" იცნობენ, ოლიმპიურ საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაერთვება. ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაში, NBA-ის სუპერვარსკვლავებისთვის, წესით, დამატებით მოტივაციად უნდა იქცეს, თუმცა იანკური მანქანის ნაღდ სახეს ამ ტურნირზე მაინც ვერავინ ნახავს. მიზეზი მარტივია - ამერიკას, უბრალოდ, არ ეყოლება სათანადო დონის მეტოქეები. ერთადერთი, ვისაც ამ გუნდისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო, არგენტინა იყო, მაგრამ მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი საკვალიფიკაციო ტურნირზე მანუ ჯინობილის, ლუის სკოლას, ფაბრიციო ობერტოსა და ანდრეს ნოჩიონის გარეშე ჩავა, რითაც, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი.

ლას ვეგასში მიმდინარე შეკრებაზე ამერიკას სოლიდური შემადგენლობა ჰყავს, მთავარმა მწვრთნელმა მაიკ კრჟიჟევსკიმ კი საბოლოო განაცხადის დასახელებისას რამდენიმე კალათბურთელზე უარი უნდა თქვას - გუნდში მარტო 12 კაცი უნდა დარჩეს და "ოცნების გუნდის" გაცხრილვაც მალე დაიწყება.

ერთი კვირის წინათ, ამერიკის ნაკრებს თვით კობი ბრაიანტი შეუერთდა, რომელმაც პირველივე ორმხრივ თამაშში საფინალო სირენასთან ერთად გადამწყვეტი ორქულიანი ჩააგდო და ორად გაყოფილ "დრიმ თიმის" "ლურჯებს" ერთი ქულით მოაგებინა. "ლეიკერსის" ლიდერის ერთ-ერთი პარტნიორი კევინ დიურანი იყო, ხოლო მეორე სუპერახალბედა გრეგ ოდენი კი, გლანდების ოპერაციის მერე ჯერაც ვერ შეუდგა ვარჯიშს.

მოკლედ, გთავაზობთ ინტერვიუს კობი ბრაიანტთან.

**- მოკლედ, ამ მატჩზე ვისაუბროთ, ძირითადი კითხვები კი ოდნავ მოგვიანებით იყოს.**

- პირადად ჩემი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, რადგან არდადეგები ოდნავ გავიხანგრძლივე და კემპზე წონაში მომატებული ჩამოვედი. მთავარ მწვრთნელს ყველაფერი ავუხსენი და მანაც გაგებით მიიღო ის, რომ ჯერ ფორმაში ვერ ვარ, მაგრამ 2-3 კვირაში თითქმის საუკეთესო კონდიციებში ვიქნები. უშუალოდ მატჩზე კი რა შეიძლება გითხრათ... ჩემს გუნდში იყვნენ ამარე სტაუდმაიერი, კარმელო ენტონი, კირკ ჰაინრიხი, დერონ უილიამსი, ტაისონ ჩენდლერი, ჯეი რედიკი და კევინ დიურანი.

**- მეორე გუნდში კი ლებრონი, კიდი... არ გააგრძელებთ?**

- მათ წააგეს, ჩვენ კი მხოლოდ გამარჯვებულ ხალხზე არ უნდა ვისაუბროთ? ლებრონი ბოლო დროს ყველაფერს აგებს. ფინალი წააგო, სთრითბოლი ითამაშა და იქაც წააგო, ახლა კი ეს თამაშიც დათმო.



კიდი კობის წინააღმდეგ

**- კარგ ფორმაშია?**

- ჯეიმსი? ცოტა დაღლილი მომეჩვენა, მაგრამ ისე, მთლიანობაში, ნორმალურად გამოიყურებოდა. ერთი ბურთი ვერ ჩატენა, თორემ სხვა მხრივ უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო.

**- როგორ გგონიათ, რამდენად მოტივირებულები იქნებით შესარჩევ ტურნირზე? იქ ხომ თქვენ გარდა, ძლიერი შემადგენლობა თითქმის არავის ეყოლება?**

- ჩვენ ამერიკის ღირსებას ვიცავთ და მეტი მოტივაცია არ გვჭირდება. სხვა გუნდების შემადგენლობა, მათი პრობლემები და პლუსები კი ნამდვილად არ მაინტერესებს.

**- მეჯიქმა თავის ინტერვიუში აღნიშნა, ამ გუნდს მარტო კობი და შაკი ეყოფაო. ეთანხმებით?**

- კომპლიმენტის მოსმენა ყოველთვის სასიამოვნოა, მით უმეტეს მაშინ, როცა შენზე ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი საუბრობს, მაგრამ მაინც მეეჭვება, რომ ოლიმპიადის მოსაგებად მარტო მე და ონილი ვიყოთ საკმარისნი. სხვა გუნდებმაც მოუმატეს და თან, ისინი ჩვენ წინააღმდეგ მოედანზე ყოველთვის მეტად მონდომებულები არიან, ვიდრე - ჩვენ მათ წინააღმდეგ. ძალიან მომწონს არგენტინის ნაკრები. დიახ, იქ არის გამოკვეთილი ლიდერი და ვარსკვლავი მანუ ჯინობილი, მაგრამ დააკვირდით, რა სწორ, გამართულ, თითქმის უშეცდომო კალათბურთს თამაშობენ... სროლებს ნებისმიერ შემთხვევაში გააფუჭებ, მაგრამ მთავარია, მწვრთნელის მიერ შემუშავებული გეგმა შეასრულო, უაზრო შეცდომები არ დაუშვა და ყველაფერი კარგად იქნება. ასე რომ, მთელი ოლიმპიადის წაუგებლად გავლისთვის, მარტო ორი ძლიერი მოთამაშე საკმარისი არ იქნება.

**- შეძლებთ თუ არა "ოცნების გუნდის" საკადრისი კალათბურთის ჩვენებას?**

- საბერძნეთთან რომ წავაგეთ (ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი - რედ.) თქვენი კოლეგები, იქნებ თქვენც, წერდით, რომ "ოცნების გუნდი" წარსულს ჩაბარდა და მისი ადგილი უმოტივაციო "მეოცნებეთა გუნდმა" დაიკავა... ბოდიშს ჩვენი თამაშით მოგახდევინებთ. ეს ამერიკაა! კალათბურთს ყველაზე კარგად, სწორად და ლამაზად ამერიკელები ვთამაშობთ.

**- ჯეისონ კიდს ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში ყველა თამაში მოგებული აქვს. რამდენად მნიშვნელოვანია იგი გუნდისთვის?**

- ყველა თამაში წაგებულიც რომ ჰქონდეს, იგი შეუცვლელია. კიდი არის ხელოვანი, ჯადოქარი, უნიჭიერესი მოთამაშე და პირველ რიგში, მებრძოლი. მისი შეცვლა წარმოუდგენლად მიმაჩნია და იმედი მაქვს, რომ ჯეისონი აუცილებელ მოტივაციასა და ფორმას შეინარჩუნებს.

**- შეკრებაზე ვერ ჩამოდის გრეგ ოდენი. მოასწრებს თუ არა იგი დარჩენილ დროში მთავარ მწვრთნელზე შთაბეჭდილების მოხდენას?**

- მე არ ვიცნობ გრეგს, თუმცა ბევრისგან მსმენია, რომ იგი ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდაა. ვერ გეტყვით, მოხვდება თუ არა ოდენი საბოლოო შემადგენლობაში. გადახედეთ დღევანდელ კემპზე მყოფ მაღლებს - ამარე, დუაიტ ჰოვარდი, ჩენდლერი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია, კრის ბოში, ვისაც მისი სიმაღლის მოთამაშეებში ყველაზე სწრაფი ფეხები აქვს. ასე რომ, ოდენს ამ კომპანიიდან რომელიმეს ამოგდება მოუწევს, რაც გამოუცდელი მოთამაშისთვის რთული იქნება.

**- კევინ დიურანთან ერთად თამაშიც მოასწარით.**

- ძალიან მაგარი მონაცემები აქვს. კევინი დირკ ნოვიცკისაც ჰგავს, კევინ გარნეტსაც, პოლ პირსსაც, ლებრონსაც, ანუ იმის თქმა მსურს, რომ ძალიან მრავალმხრივი მოთამაშეა. ბურთის ჩაგდება ნებისმიერ სიტუაციაში, თუნდაც ორმაგი მეურვეობის ქვეშ მოხვედრილსაც შეუძლია. სწრაფია, მონდომებული და თავაზიანი. არ ცდილობს, მასზე გამოცდილ ხალხს ისე მოექცეს, თითქოს ამ მოკლე დროში მათ ტოლსწორ ფიგურად ჩამოყალიბდა და არ იკადრებს, რომ კიდს, კეფაში წამოარტყას.

**- "ლეიკერსის" თემა არ განვავრცოთ?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს გეტყვით. ბოსებს შევხვდი, გავესაუბრე და ყველანი მოვლენების შემდგომ განვითარებას დაველოდებით.

**- ანუ, "ლეიკერსის" წევრად რჩებით?**

- მე ისედაც ამ გუნდის წევრი ვარ და ყოველთვის მეამაყება, რომ "ლეიკერსმა" ჯადოსნური ატმოსფეროს ბოლომდე შეგრძნების შანსი მომცა. ამას არასოდეს დავივიწყებ.

**ზურაბ თალაკვაძე**

## TV სპორტი

### 26 ივლისი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ზალცბურგი-არსენალი.
14:10 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. შტუტგარტი-ბაიერნი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გასული სეზონის ქრონიკა. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-პორტუ.
18:05 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:00 უიქენდის მატჩების ანონსი.
20:10 ტოქ-შოუ - 2:1.
20:55 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
22:40 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ნიუკასლი-სელტიკი (LIVE).
00:40 პირდაპირი ხაზი.
01:40 სასტვენი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:10 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
08:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:07 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-სამპდორია.
10:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
11:04 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. შტუტგარტი-ბაიერნი.
12:47 სპორტდოსიე.
13:14 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ამერსფორტი. ჰოლანდია.
15:51 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შალკე.
17:25 მინი-მოედანი.
17:42 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:41 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ბელგია.
21:42 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:20 სპორტის სამყარო.
22:46 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. Barca TV. ამხანაგური მატჩი. დანდი იუნაიტედი-ბარსელონა (LIVE).
00:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:08 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-სამპდორია.
02:50 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. შტუტგარტი-ბაიერნი.
04:34 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
06:21 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
06:48 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.

#### EUROSPORT

10:30 მაუნტინბაიკი. ევროპის ჩემპიონატი. თურქეთი.
11:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. III დღე. შვეიცარია (LIVE).
14:00 მულტისპორტი.
14:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი (LIVE).
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი.
16:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი (LIVE).
19:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ქალები. ისლანდია (LIVE).
22:00 პროფესიული კრივი.
23:00 პროფესიული კრივი. WBA-ს ვერსია. მჩატე წონა. ს. კაბალიერო (პანამა)-რ. კასტილიო (მექსიკა). აშშ.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი.
01:00 რესტლინგი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ქალები. 1/2 ფინალი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. II დღე. შვეიცარია (LIVE).
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. II დღე. შვეიცარია (LIVE).
21:00 კალათბურთი. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ქალები. ისლანდია.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **აზიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ერაყი-ს. კორეა | 0:0, პენ. 4:3 |
| იაპონია-ს. არაბეთი | 2:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კაენი-რენი | 3:1 |
| არმინია-კლადნო | 1:1 |
| ალემანია-ანდერლეხტი | 1:0 |
| ბორდო-ლორიანი | 1:0 |
| დარმშტადტი-ბოხუმი | 1:5 |
| მეხელენი-გენკი | 1:1 |
| მეცი-სტრასბური | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-ანკარაგიუჯუ | 2:0 |
| პერენვენი-ვეენდამი | 4:1 |
| ზალცბურგი-არსენალი | 1:0 |
| ფეიენოორდი-ჩელსი | 1:1 |
| ლიერსი-სტ. ტრუიდენი | 1:1 |
| მუსკრონი-ვალიადოლიდი | 1:2 |
| ტინენი-ბეერსხოტი | 0:4 |
| ვიტესი-მიკასი | 1:0 |
| მარსელი-არისი | 2:1 |
| პსვ-ზამალეკი | 1:0 |
| სტანდარდი-ბრაგა | 1:2 |
| ვენლო-ეინდჰოვენი | 1:1 |
| ვაასლანდი-სერკლი | 1:1 |
| ლოკერენი-ბრიუგე | 1:0 |
| პორტ ვეილი-მანჩესტერ იუნ. | 3:2 |
| ბლეკპული-ვიგანი | 1:2 |
| ბრენტფორდი-რედინგი | 1:6 |
| ჰიბერნიანი-ბოლტონი | 3:0 |
| მილტონი-ვესტ ჰემი | 3:2 |
| **გერმანიის ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| შტუტგარტი-ბაიერნი | 0:2 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1:1 |
| ოდენსე-ლუნგბიუ | 1:1 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| ლილესტრიომი-აალესუნდი | 1:0 |
| ლინი-ბოდო გლიმტი | 1:0 |
| რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 1:2 |
| სტარტი-ჰაუგესუნდი | 0:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ნოტოდენი | 4:1 |
| ვიკინგი-ბრანი | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| ჰონკა-ჰაკა | 0:2 |
| **ავსტრია** | |
| მატერსბურგი-რაპიდი | 3:2 |
| **შვეიცარია** | |
| სიონი-არაუ | 3:0 |
| სტ. გალენი-ბაზელი | 0:3 |
| იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი | 3:2 |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბელინცონა-ვადუცი | 3:1 |
| ჩამი-სერვეტი | 0:4 |
| კიასო-ივერდონი | 0:1 |
| კონკორდია-დელემონი | 0:4 |
| კრიენსი-შაფჰაუზენი | 2:2 |
| ფონდლი-ლუგანო | 1:1 |
| ლოზანა-გოსაუ | 2:0 |
| ვოლენი-ვილი | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 1:1 |
| ვიკინგური-ფრამი | 2:1 |
| **რუსეთი** | |
| მოსკოვი-სატურნი | 3:2 |
| რუბინი-ლოკომოტივი | 3:0 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ჩერნომორეცი | 0:0 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ინდიანაპოლისი** | |
| დელ პოტრო-დანჩევიჩი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ლი-გოლდსტეინი | 6:3, 6:3 |
| ფიში-კუნიცინი | 4:6, 0:6 |
| **ATP. კიცბუელი** | |
| ვასალო არგელო-ეისერიკი | 6:2, 6:3 |
| გულბისი-რეკუდერკი | 7:5, 3:6, 4:6 |
| საბალეტა-ლუცი | 7:6, 6:2 |
| ლუჩაკი-გუსმანი | 3:6, 4:6 |
| ერნანდესი-ჰარტფილდი | 7:5, 0:6, 3:6 |
| გარსია ლოპესი-როიტმანი | 6:2, 1:6, 1:6 |
| კალერი-აიტცინგერი | 6:3, 7:6 |
| ეშაუერი-ფონინი | 6:4, 4:6, 5:7 |
| ალმაგრო-ნავარო პასტორი | 7:5, 6:3 |
| ფერერო-სეპი | 6:7, 6:4, 2:6 |
| იუჟნი-პეია | 5:7, 0:6 |
| ანდრეევი-პატიენსი | 7:6, 6:2 |
| ვერდასკო-ორნა | 6:1, 6:4 |
| კოლშრაიბერი-კაპდევილე | 6:4, 6:1 |
| სტარაჩე-კ. როხუსი | 6:2, 6:2 |
| მაიერი-ვასალო არგელო | 6:1, 6:3 |
| რობრედო-გუსმანი | 6:1, 6:4 |
| ლაპენტი-რეკუდერკი | 7:6, 6:2 |
| მონაკო-საბალეტა | 6:1, 2:6, 6:3 |
| ჩელა-კოელერერი | 3:6, 6:3, 6:2 |
| **ATP. უმაგი** | |
| კანიასი-რამირეს იდალგო | 6:4, 6:3 |
| ბერლოკი-ჰანესკუ | 6:7, 6:4, 6:2 |
| სიმონი-ჩილიჩი | 7:5, 2:6, 6:3 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| ვინჩი-გრონეფელდი | 4:6, 6:2, 0:6 |
| პოუს ტიო-ბიჩკოვა | 7:6, 6:7, 6:2 |
| ზაკოპალოვა-კლეპაჩი | 1:6, 7:6, 6:1 |
| ვორაკოვა-კლაფნერი | 6:4, 6:3 |
| დომინგეს ლინო-მალეკი | 6:4, 7:5 |
| კოსტანიჩი-მარტინეს სანჩესი | 4:6, 0:6 |
| პენეტა-ციბულკოვა | 5:7, 6:4, 1:6 |
| სკიავონე-გალიარდი | 6:0, 6:4 |
| ლუა-მოისბურგერი | 1:6, 3:6 |
| შავაი-შიხტლი | 6:0, 6:1 |
| სალერნი-კამერინი | 6:4, 6:4 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| ბამერი-ტუ | 6:4, 6:2 |
| ჰანტუხოვა-პენგი | 6:4, 6:2 |

## ჩოგბურთი

### ტურნირები

#### ATP

##### ავსტრიის ღია

კიტცბუელი (ავსტრია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 786 250 ევრო

**I წრე**

**ფაბიო ფონინი (იტა)**-ხუან პაბლო ბრჟეჟიჩკი (არგ) 6:4, 6:3; **ალექსანდრ პეია (ავსტრია)**-ოლივერ მარაში (ავსტრია) 6:3, 7:6 (5); **ივან ნავარო პასტორი (ესპ)**-კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბ) 6:4, 6:2; **დანიელ კოელერერი (ავსტრია)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:0; **ანდრეას სეპი (იტა)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 5:7, 6:0, 7:6 (3).

##### Tennis Championships

ინდიანაპოლისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 525 000 დოლარი

**I წრე**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-ალექს კუზნეცოვი (აშშ) 6:4, 6:0; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:5, 7:6 (9); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 3)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:3, 7:5; **მარდი ფიში (აშშ, 4)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 2:6, 7:5, 7:5; **ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორ, 6)**-დონალდო იანგი (აშშ) 6:2, 6:4; **იგორ კუნიცინი (რუს)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:2, 1:6, 7:5; **რიკარდო მელო (ბრა)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:4, 6:4; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-რაჯივ რამი (აშშ) 7:5, 3:6, 6:4; **პოლ გოლდსტეინი (აშშ)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:4, 6:4; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:4, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ანდრე სა (ბრა) 6:4, 6:7 (5), 7:6 (3).

##### ხორვატიის ღია

უმაგი (ხორვატია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**I წრე**

**ანდრეი პაველი (რუმ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 3) 7:6 (5), 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:2, 6:2; **კარლოს მოია (ესპ, 6)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:3, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 7)**-ლუკაშ დლოუჰი (ჩეხ) 6:2, 6:1; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8) 2:0 ტიპსარევიჩის უარი; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-პრედრაგ რუსევსკი (მაკ) 6:3, 1:6, 6:4; **მიშა ზვერევი (გერ)**-ფლორან სერა (საფ) 6:0, 7:5; **ხოსე აკასუსო (არგ)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:2, 6:0; **გილერმო კანიასი (არგ)**-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:3, 6:3; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ფელიქს მანტიია (ესპ) 2:6, 6:4, 6:4.

#### WTA

##### Bank of the West Classic

სტენფორდი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

**შაარ პეერი (ისრ, 5)**-კამილ პინი (საფ) 7:6 (5), 6:2; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 6)**-ვიქტორია კუტუზოვა (რუს) 6:2, 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 8)**-აი სუგიამა (იაპ) 6:4, 6:2; **იაროსლავა შვედოვა (რუს)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 3:6, 6:3, 6:2; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:4, 6:2; **სანია მირზა (ინდ)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 4:6, 7:5, 7:6 (5); **მარია კირილენკო (რუს)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 3:6, 7:5, 6:4.

##### Gastein Ladies

ბად გაშტაინი (ავსტრია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**II წრე**

**კაია კანეპი (ესტ, 4)**-იოანა რალუკა ოლარუ (რუმ) 6:2, 4:6, 7:5; **კარინ კნაპი (იტა, 7)**-ევა ჰოხი (ავსტრია) 6:2, 6:3.



რასმუსენმა ყველაზე რთული ეტაპი მოიგო

ტურ დე ფრანსი

# რასმუსენის ოქროს აკორდი

ტურ დე ფრანსის გუშინდელი ეტაპი გუნდების პროტესტით დაიწყო - ამ პროტესტით მათ დოპინგისადმი თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს. გუშინდელ ეტაპზევე, პელოტონს ერთი გუნდი - ყაზახური "ასტანა" დააკლდა, რომელიც ყაზახივე **ალექსანდრ ვინოკუროვის** დოპინგსკანდალის გამო მოიხსნა ასპარეზობიდან. გუშინვე, ყვითელი მაისურის მფლობელმა, დანიელმა **მიქაელ რასმუსენმა** ოქროს აკორდი შეასრულა - ურთულესი სამთო ეტაპი მოიგო და პრაქტიკულად გაინაღდა ყველაზე პრესტიჟული ველომარათონის ჩემპიონის წოდება.

სამთო ეტაპები დასრულდა. ფინიშის წინ, ველომრბოლები დროზე ინდივიდუალურ რბოლაში იასპარეზებენ, მაგრამ საეჭვოა, ამ რბოლის შემდეგ (თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა) აბსოლუტური კლასიფიკაციის სათავეში რაიმე შეიცვალოს - დანიელი ველომრბოლი სამ წუთზე მეტს უგებს მეორეზე მყოფ ესპანელ **ალბერტო კონტადორს** და ხუთ წუთზე მეტს დროზე რბოლების ორ სპეციალისტს, ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს** და ამერიკელ **ლევი ლაიპჰაიმერს**.

გუშინდელი ეტაპის ბოლო სამთო, კოლ დ'ობისკის მონაკვეთი ოთხივემ ერთად დაიწყო, მაგრამ ფინიშზე პირველი რასმუსენი მიიჭრა. ჯერ იყო და, კონტადორის აქტიურობის წყალობით, ევანსი და ლაიპჰაიმერი ჩამორჩნენ, შემდეგ ამერიკელმა ძალა მოიკრიბა და დაწინაურებულებს შეუერთდა. ამის შემდეგ, თითქოს სამივე შეეგუა იმ აზრს, რომ ფინიშთანაც ერთად მივიდოდნენ, მაგრამ ფინიშამდე ნახევარი კილომეტრი რომ რჩებოდა, დანიელმა ისეთი შეტევა წამოიწყო, რომელიც "დისქავერი ჩენელის" ველომრბოლების მხრიდან პასუხგაუცემელი დარჩა.

*"ბედნიერი ვარ, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება, რომ სტარტზე მაყურებელმა უარყოფითი შეძახილებით გამაცილა დისტანციაზე. რა თქმა უნდა, მაყურებელს არ მოეწონა ის ფაქტი, რაც გუშინ მოხდა. დოპინგსკანდალები ყოველთვის ჩრდილავს ჩვენს სპორტს. მაგრამ ჩემით რატომ არიან უკმაყოფილონი, არ მესმის. რაც ტური დაიწყო, უკვე 14 სინჯი ჩავაბარე და არცერთი ტესტი არ ჩამიგდია. ახლა კარგად მესმის, თუ რა გამოიარა ლენს არმსტრონგმა იმ შვიდი სეზონის განმავლობაში, როცა ტურის ჩემპიონი ხდებოდა. ვინოს შემთხვევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დოპინგსაწინააღმდეგო სისტემა კარგად მუშაობს"*, - ნარბოლევს განაცხადა რასმუსენმა, ვისაც გუშინდელი ეტაპის სტარტამდე, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა ფულადი ჯარიმის (10 000 ევრო) გადახდა დააკისრა იმის გამო, რომ მექსიკაში ვარჯიშის პერიოდში, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს და დანიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს თავისი ადგილსამყოფელის შესახებ არ აცნობა და ამის გამო, ორ დოპინგტესტზე არ გამოცხადდა.

ფინიშთან მეორე ლაიპჰაიმერი მივიდა, ვინც გამარჯვებულთან 25 წამი დათმო. კიდევ ათი წამი და ფინიშს კონტადორმაც მიაღწია. მან აბსოლუტურში მეორე ადგილი კი შეინარჩუნა, მაგრამ ახლა ყვითელ მაისურს 3 წუთით და 10 წამით ჩამორჩება. აბსოლუტურში მესამე ადგილს ინარჩუნებს ევანსი, ვინც ახლა უკვე ლიდერს 5 წუთით და 3 წამით ჩამორჩება.

ესოდენ სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, რასმუსენმა კარგად იცის, რომ ბოლოსწინა ეტაპს - დროზე ინდივიდუალურ რბოლას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ 2005 წლის ტურის დროზე ბოლო რბოლისას ის სამჯერ დაეცა და ამგვარად, კვარცხლბეკზე ასვლის შანსიც ხელიდან გაუშვა.

*"ერთი ნაბიჯიც და ტურის ჩემპიონი ვარ, მაგრამ რბოლა პარიზში მთავრდება, მანამდე კი რამდენიმე ეტაპია გასავლელი, მათ შორის, დროზე რბოლაც. ყველას კარგად ახსოვს, თუ რა მოხდა ორი წლის წინ სენ ეტიენში. ჰოდა, ახლა ჩემი მთავარი მიზანი სიფრთხილისა და სისწრაფის შენარჩუნებაა"*, - ამბობს რასმუსენი, ვინც ლიდერობა კი განიმტკიცა, მაგრამ მთის მრბოლის კოპლებიანი მაისურის (რომელიც თავის დროზე ორჯერ აქვს მოგებული) დაუფლების ყველანაირი შანსი დაკარგა, რადგან გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ის კოლუმბიელ **მაურისიო სოლერს** ათი ქულით ჩამორჩება. ეს იმ დროს, როცა სამთო მონაკვეთები გასავლელი აღარ არის.

## დოპინგი

გუშინვე, ცნობილი გახდა, რომ დოპინგტესტი კიდევ ერთმა ველომრბოლმა, იტალიელმა (კოფიდისი) **კრისტიან მორენიმ** ჩააგდო. მორენის, ვინც იტალიის ჩემპიონი იყო 2004 წელს, მე-11 ეტაპის შემდეგ აღებულ სინჯში ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა აღმოაჩნდა.

ეს ზუსტად ის ჰორმონია, რომლის გამოც, ტურის შარშანდელ ჩემპიონს, ამერიკელ **ფლოიდ ლენდისს** ტიტულის დაკარგვის საფრთხე ემუქრება. ლენდისის საქმეს მოგვიანებით განიხილავს აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო, მის შემდეგ კი იმავე საქმის მოსმენას საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოც გეგმავს.

რაც შეეხება ვინოკუროვს, ის დოპინგის მიღებას უარყოფს და უცნაურ განმარტებას იძლევა: *"ეს შეცდომაა. დოპინგი არასოდეს გამომიყენებია. ჩემს პროფესიას ამგვარად არასოდეს მოვპყრობივარ. ვფიქრობ, ეს შეცდომა გარკვეულწილად, ჩემს ავარიას უკავშირდება, რომლის დროსაც ორივე მუხლზე ღრმა ჭრილობა დამრჩა. გუნდის ექიმები მეუბნებოდნენ, რომ ბარძაყებში დიდი რაოდენობით სისხლი დამიგროვდა, ეს კი შეიძლება დოპინგტესტის დადებითი პასუხის მიზეზი გახდესო"*, - განუცხადა გაზეთ "ეკიპს" ვინომ, ვინც დასძენს, რომ ვილაცას არ მოსწონდა ის ფაქტი, რომ მისი გუნდი შესანიშნავად გამოდიოდა მიმდინარე ტურზე. *ჯერ კიდევ რბოლის დაწყებამდე, ბევრი შურით გვიყურებდა. ვფიქრობ, ეს მავანთა მიერ მოწყობილი პროვოკაციააო.*

იმის მიუხედავად, რომ ვინოკუროვის კარიერის დასრულება ემუქრება, ის მაინც ხუმრობს იმ სიტუაციაზე, რომელიც შეემთხვა: *"გავიგე, ამბობენ, რომ თითქოს, მამაჩემის სისხლი გადავისხი. ეს აბსურდია, რადგან ასე რომ ყოფილიყო, მაშინ შემოწმება ჩემს სინჯში არყის ჭარბ შემცველობას აღმოაჩენდა"*, - ხუმრობს ვინო.

## ბომბი

გუშინდელ ეტაპზე, რომლის მცირე მონაკვეთი ესპანეთის ბასკეთის ტერიტორიაზე გადიოდა, ორი მცირე აფეთქება მოხდა. ეტაპის დაწყებამდე, უცნობ პირს რბოლის ორგანიზატორების ოფისში დაურეკავს და უთქვამს, რომ ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია ეტა ტერაქტებს გეგმავდა.

ორი აფეთქება პატარა ქალაქ ბელაგუაში მანამ მოხდა, ვიდრე იქ ველომრბოლები გაივლიდნენ. აფეთქებას არავინ დაუზიანებია. უფრო მეტიც, ტურის უსაფრთხოების სამსახურს მიაჩნია, რომ ეს ორი აფეთქება ვილაცის ბოროტი ხუმრობა იყო.

## პეტაკი გაამართლეს

სანამ ტური პირენეის მთიანეთს მოივლიდა, ველოსპორტის სამყარომ ერთი სასიამოვნო ცნობა მიიღო - იტალიის ველოსპორტის ფედერაციამ ყოველგვარი ბრალდება მოუხსნა **ალესანდრო პეტაკის**, ვისაც ჯიროს ერთ-ერთი ეტაპის შემდეგ აღებულ სინჯში სალბუტამოლის ჭარბი დოზა აღმოუჩინა.

პეტაკი, ვინც ჯიროზე ხუთი ეტაპი მოიგო, ასთმა აწუხებს, რის სამკურნალოდაც, სალბუტამოლის შემცველ პრეპარატს იყენებს, ამაზე კი სამედიცინო ცნობა და სპორტული კომისიის ნებართვა გააჩნია.

*"ეს ჩემს კარიერაში მოპოვებული ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გამარჯვებაა. 12 სეზონში 14 რბოლა მოვიგე, მაგრამ გარწმუნებთ, ასეთი გახარებული არასოდეს ვყოფილვარ. რატომ? იმიტომ რომ ასთმის სამკურნალო ვენტოლინს ჩემი კარიერის დანგრევა შეეძლო და მე ამ კატასტროფას გადავურჩი"*, - განაცხადა პეტაკიმ, ვისაც აღნიშნული საქმის გამო, ტურის გამოტოვება მოუხდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-16 ეტაპი. ორტესიდან კოლ დ'ობისკამდე (218.5 კმ)

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 6:23.21 (34.20 კმ/სთ); 2. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.25; 3. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 0.35; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.43; 5. მაურისიო სოლერი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 1.25; 6. აიმარ სუბელდია აგირე (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 1.52; 7. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 1.54; 8. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 2.12; 9. ოსკარ პერეირო (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.27; 10. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) ...

კლასიფიკაცია 16 ეტაპის შემდეგ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 76:15.15; 2. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.10; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 5.03; 4. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 5.59; 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 9.12; 6. აიმარ სუბელდია აგირე (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 9.39; 7. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 13.28; 8. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 14.46; 9. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 16.00; 10. მაურისიო სოლერი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 16.41...



ფორმულა 1. კალენდარი

# საფრანგეთის ეტაპი კალენდარში დარჩება




საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ **ფრანსუა ფილონთან** შეხვედრის შემდეგ, ფორმულა ერთის ფაქტობრივმა ბატონ-ბატრონმა, ინგლისელმა მილიარდერმა **ბერნი ეკლსტოუნმა** განაცხადა, რომ პრინციპში თანახმაა, მომდევნო სეზონების კალენდარში შეინარჩუნოს საფრანგეთის დიდი პრიზი, რომელიც კვლავაც ავტოდრომ "მანი კურზე" ჩატარდება.

*"ბერნი კალენდარში საფრანგეთის დიდი პრიზის შენარჩუნებაზე დამთანხმდა. ის მზადაა, კალენდარში ჩვენი რბოლა მერმისაც დატოვოს და 2009 წელსაც, თუ რა თქმა უნდა, "მანი კურის" ალტერნატივას ვერ შევთავაზებთ"*, - ეკლსტოუნთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა ფილონმა.

აღსანიშნავია, რომ ავტოდრომი "მანი კური" ეკლსტოუნს ეკუთვნის, მაგრამ ამის მიუხედავად, მას ეს ტრასა ათვალწუნებული აქვს, რადგან ის საფრანგეთის დიდი ქალაქებისგან მოწყვეტილია და ამიტომ, რბოლას ცოტა მაყურებელი ესწრება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ნევერის მხარეში სუსტადაა განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

ბერნის არაერთხელ უთქვამს, რომ ურჩევნია, საფრანგეთის დიდი პრიზი პარიზის მახლობლად ტარდებოდეს, სადაც მაყურებლის სიმწირის პრობლემა მოიხსნებოდა. უფრო მეტიც, საფრანგეთის დიდი პრიზის წინ მან განაცხადა, "მანი კურს" ფორმულა ერთში მომავალი არ აქვს და ამ სეზონის რბოლა ამ ტრასისთვის ბოლო იქნებაო.

ამის პასუხად, საფრანგეთის საავტომობილო ფედერაციამ განაცხადა, რომ ქვეყნის მთავარი რბოლა ეკლსტოუნთან გაფორმებული კონტრაქტის ვადის გასვლამდე (2011 წელი) ჩატარდებაო. ამასთან, ფედერაციამ ისიც განაცხადა, რომ მომავლისთვის "მანი კურის" შემცვლელ ტრასას უკვე ეძებს და არც ის გამორიცხა, რომ შესაძლოა, პარიზის მახლობლად მართლაც აშენდეს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ტრეკი.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, ბერნიმ ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრიდან ამოიღო აშშ-ის დიდი პრიზი, რომელიც ეს რვა წელიწადია, ინდიანაპოლისის გადაკეთებულ ოვალზე ტარდებოდა. ამასთან, მომავალი სეზონისთვის, კალენდარში ორი ახალი ტრასა გამოჩნდება. ესაა ვალენსიისა და სინგაპურის ქუჩის რბოლები. ვალენსიაში ევროპის დიდი პრიზი ჩატარდება, რომელსაც ამ სეზონში გერმანიის ნურბურგრინგმა უმასპინძლა. ცნობისათვის, გერმანია მერმის საკუთარ რბოლას ჰოკენჰაიმის ტრასაზე ჩაატარებს.

მომავალი სეზონის კალენდარში კიდევ ერთი, უმნიშვნელო ცვლილება უფრო ადრე განხორციელდა. კერძოდ, ჩემპიონატის პირველ ეტაპს ბაჰრეინი უმასპინძლებს, ავსტრალია კი, რომელიც ადრე ატარებდა ხოლმე პირველ ეტაპს, მეორე ეტაპი გახდება. ამასთან, მელბურნის რბოლა იქაური დროით ოთხის ნახევარზე ჩატარდება, რაც ევროპელი ტელემაყურებლისთვის გალეწული ხარკია.

დროის პრობლემის მოგვარების მიზნით, ეკლსტოუნს მელბურნში ღამის რბოლის ჩატარება სურდა, მაგრამ ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე ოზი პარტნიორები ჯერჯერობით ვერ დაითანხმა. ღამის რბოლას მერმის სინგაპური ჩაატარებს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ, ეკლსტოუნთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა